



ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი:
 - 2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
 - 2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
3. დასკვნა

1. შესავალი

2011 წლის განმავლობაში სულ განხილულია 1279 საკასაციო საჩივარი, აქედან გაუქმდა 118 საქმე, მათ შორის:

– თბილისის სააპელაციო სასამართლოს 87 საქმე (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: თბილისის საქალაქო სასამართლომ – 76, ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ – 1, ხაშურის რაიონულმა სასამართლომ – 1, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ – 1, ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ – 1, სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ – 1, გორის რაიონულმა სასამართლომ – 1, დედოფლისწყაროს მაგისტრატმა სასამართლომ – 1, თელავის რაიონულმა სასამართლომ – 1, დუშეთის მაგისტრატმა სასამართლომ – 1, თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ – 1, სოხუმის რაიონულმა სასამართლომ – 1);

– ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 31 საქმე (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ – 10, ფოთის საქალაქო სასამართლომ – 1, ბათუმის საქალაქო სასამართლომ – 4, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ – 1, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ – 3, სენაკის რაიონულმა სასამართლომ – 1, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ – 1, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ – 3, საჩხერის რაიონულმა სასამართლომ – 2, სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ – 1, წყალტუბოს მაგისტრატმა სასამართლომ – 1, ქობულეთის მაგისტრატმა სასამართლომ – 1, ბაღდათის მაგისტრატმა სასამართლომ – 1, ტყიბულის მაგისტრატმა სასამართლომ – 1).

2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი

2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

სასამართლოს შეცდომა (უწყებრივი ქვემდებარეობის წესების დარღვევა, ასკ-ის მე-2, 26-ე და სკ-ის მე-11 მუხლები):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/708-10 19.10.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/4616-08 30.10.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივარი საზოგადოების სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: 2011 წლის 24 ივნისს „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის შესაბამისადაც მეწარმე სუბიექტების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირდებიან ადმინისტრაციული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. განხორციელებული ცვლილების თანახმად, „მეწარმეთა შესახებ“ მე-14² მუხლის პირველი პუნქტით, რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ჩაითვალოს ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტად და დადგინდა მისი გაუქმების შესაძლებლობა საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გაუქმებისათვის დადგენილი წესით. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა გასახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (განჩინება №ას-224-210-2011 06.10.11).

– ანალოგიურია საქმე №ას-436-412-2011 16.06.11.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №28/1177-10 03.12.10; ხოლო, გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/1684-07 01.12.09).

სასამართლოს შეცდომა (აღიარებითი სარჩელი სკ-ის 180-ე მუხლი, სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები ასკ-ის მე-2 მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/4404-10 22.02.11) თელავის რაიონული სასამართლოს (№2/587 15.11.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივარი განიხილა როგორც აღიარებითი, მიუხედავად იმისა, რომ მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში მხარე რაიმე სამართლებრივ სარგებელს ვერ მიიღებდა, რითაც დაარღვია სსკ-ის 180-ე მუხლის დანაწესი. ამავე დავაზე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ერთხელ უკვე შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის საფუძველზე, თუმცა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, საქმის წარმოების შეწყვეტა არ გამორიცხავს ამავე სარჩელზე სამოქალაქო წესით სამართალწარმოების განხორციელებას სამოქალაქო სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველების არსებობის პირობებში.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც აღიარებითი, თუ იკვეთება სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული მხარის იურიდიული ინტერესი. რაც შეეხება საქმის სამოქალაქო წესით განხილვას, პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საკითხზე გადაწყვეტილების უფლებამოსილება სამოქალაქო პალატას არ გააჩნია, რადგან სარჩელში ახალი არაფერია დამატებული, შესაბამისად, გაუგებარია ის ფაქტობრივი

და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც შეიძინა დავამ სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის საფუძველზე მოცემული დავა განეკუთვნება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად საქმეთა რიგს. (განჩინება №ას-567-535-2011 14.07.11).

სასამართლოს შეცდომა (სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის, სსკ-ის 53-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1233-10 23.02.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2-2215-09 04.03.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად გამოიყენა და განმარტა სსკ-ის 53-ე მუხლი, რომელიც სასამართლო ხარჯების განაწილების წესს ადგენს, კერძოდ, საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნდა, სააპელაციო პალატამ კი მოსარჩელეს დააკისრა მოპასუხის მიერ გაწეული სახელმწიფო ბაჟის ხარჯების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: იმის განსაზღვრა, თუ რომელ მხარეს რამდენი სახელმწიფო ბაჟი ან სხვა სასამართლო ხარჯები უნდა დაეკისროს, მხოლოდ დავის არსებითად გადაწყვეტის შემთხვევაშია შესაძლებელი. საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ეტაპზე დასაკისრებელი სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების კანონიერების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთ დროს სასამართლოს არ გააჩნია ის მონაცემები, რაც აუცილებელია სახელმწიფო ბაჟის ოდენობის დადგენისა თუ სხვა სასამართლო ხარჯების განაწილებისათვის. სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში გაუქმებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული სასამართლო ხარჯების განაწილება ძალას კარგავს და აღნიშნული ხელახლა უნდა გადანაწილდეს დავის არსებითად გადაწყვეტის დროს. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება მოცემულ დავაზე სასამართლო ხარჯების საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს გადანაწილების თაობაზე (გადაწყვეტილება №ას-640-601-2011 06.10.11).

სასამართლოს შეცდომა (დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა სარჩელების გაერთიანების შემთხვევაში):

განსახილველ შემთხვევაში რამდენიმე ერთგვაროვანი საქმე გაერთიანდა ერთ წარმოებად. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/ბ-2831-10 12.11.10) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№2/200-10 26.06.10) შემოსული საჩივრის განხილვისას, დავის საგნის ღირებულება განსაზღვრა მოპასუხე მხარეთათვის თითოეულის შესაბამისი დავის საგნის ღირებულებათა შეკრების საფუძველზე, შემდგომ კი, საერთო ღირებულებიდან გამოითვალა სახელმწიფო ბაჟის ოდენობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილით სარჩელების გაერთიანება გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურობის პრინციპით, რომელიც, უპირველესად, მოდავე მხარეთა ინტერესია. ამავდროულად, ის გავლენას ვერ მოახდენს დავის საგნის ღირებულების განსაზღვრაზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა სარჩელი, რომლებზედაც დამოუკიდებელი სამოქალაქო წარმოება მიმდინარეობს. შესაბამისად, ეს სარჩელები ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს და დავის საგნის ღირებულებაც არა მოთხოვნების შეჯამებული ფასით, არამედ თითოეული სარჩელის

დამოუკიდებელი ღირებულებით განისაზღვროს. ზემოაღნიშნული საფუძვლით, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (განჩინება №ას-1378-1215-2010 14.03.11).

სასამართლოს შეცდომა (მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს, სსკ-ის 76-ე მუხლი): ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/-746-06 11.02.10) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს (№2/153 15.02.06) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: როგორც საქმის მასალებით დასტურდება, უწყება ორჯერ გაეგზავნა მხარეს სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე და არ ჩაჰბარდა, რადგანაც მითითებულ მისამართზე აღარ ცხოვრობდა. საქმეში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მხარემ სასამართლოს მისამართის ცვლილების შესახებ შეატყობინა, შესაბამისად, სსკ-ის 76-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს სრული საფუძველი ჰქონდა იმისათვის, რომ უწყება მხარისათვის ჩაბარებულად მიეჩნია. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ფოსტიდან დაბრუნებულ გზავნილზე არსებული აღნიშვნის თანახმად, მხარე გადასული იყო ოზურგეთის რაიონის სოფელ კონჭკათში, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს მისამართი არასრულია, გარდა ამისა, არ ირკვევა, ინფორმაციის მიმწოდებელი პირის ვინაობა, ამასთან, სსკ-ის 76-ე მუხლი ითვალისწინებს თავად მხარის ვალდებულებას, რომ სასამართლოს ახალი მისამართი აცნობოს (გადაწყვეტილება №ას-380-353-2010 05.12.11).

სასამართლოს შეცდომა (მხარეთა საპროცესო უფლებები, სსკ-ის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილი): ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1290 23.02.11), ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/322-10 12.11.2010წ) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა სსკ-ის 83-ე მუხლი. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის, თანხის დაკისრების საფუძვლად თავდაპირველად სესხის ხელშეკრულებაზე მიუთითა, სასამართლოს მთავარ სხდომაზე კი, სესხის ხელშეკრულების ნაცვლად, მოძრავი ნივთების გადაცემის შედეგად წარმოშობილი გარიგება დაასახელა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან მოსარჩელემ სარჩელის საფუძველი მხოლოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე შეცვალა, რის შესახებაც მოპასუხეს თანხმობა არ განუცხადებია, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა შეცვლილ სასარჩელო მოთხოვნაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 178-ე და 185-ე მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ საპროცესო კანონმდებლობა არ ავალდებულებს მხარეს მიუთითოს დავის სამართლებრივი საფუძველი. იგი არ წარმოადგენს ხარვეზის დადგენის საფუძველს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სამართლებრივი საფუძველი უნდა განსაზღვროს სასამართლომ და არა მხარემ. მოცემულ შემთხვევაში მხარის მითითება, რომ მეორე მხარეს აქვს მისი ვალი და ითხოვს ამ თანხის დაბრუნებას, საკმარისია იმისთვის, რომ სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების შესაბამისად განსაზღვროს და სამართლებრივად შეაფასოს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა. პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის მოსარჩელისაგან განსხვავებული სამართლებრივ ნორმების საფუძველზე შეფასება სარჩელის საფუძვლის შეცვლას არაფრით უკავშირდება, როგორც ამას უთითებს სააპელაციო სასამართლო. მხარის მიერ არასწორი საფუძვლის მითითება არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის

საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-690-651-2011 21.07.11).

სასამართლოს შეცდომა (არასათანადო მოპასუხის შეცვლა, სკ-ის 85-ე მუხლი):

სადავო უძრავ ქონებაზე უფლების საკითხი. საქმეში მხარედ ჩაბმული არიან სადავო ქონების პირდაპირი მფლობელები, დამქირავებლები, რომლებიც ამ შემთხვევაში არასათანადო მხარეს წარმოადგენენ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/509-2010 14.07.10) ბოლნისის რაიონული სასამართლოს (21.01.10წ) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას ზემოაღნიშნული ფაქტი შეუფასებელი დატოვა და დავის გადასაწყვეტად სკ-ის 172-ე მუხლით იხელმძღვანელა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მართალია სკ-ის 172-ე მუხლიდან გამომდინარე, მესაკუთრეს ვინდიკაციური სარჩელის აღძვრა შეუძლია, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მფლობელის წინააღმდეგ, თუმცა არაპირდაპირი მფლობელის ჩაბმა განსაკუთრებით აუცილებელია ისეთ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნივთზე უფლების საკითხი. სსკ-ის 85-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს უნდა შეეთავაზებინა საქმეში სათანადო მოპასუხის ჩაბმა, რაც არც ერთ ინსტანციაში არ განხორციელებულა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ „განსახილველ შემთხვევაში, სათანადო მოპასუხის მონაწილეობის გარეშე დავის განხილვამ არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, ვინაიდან ვერ დადგინდა, თუ ვინ წარმოადგენს სადავო მიწის ნაკვეთის რეალურ მესაკუთრეს. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (განჩინება №ას-1004-942-2010 07.04.11).

სასამართლოს შეცდომა (სათანადო მოპასუხის ჩაბმა, სსკ-ის 85-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/8-10 07.07.10) სოხუმის საქალაქო სასამართლოს (№3/170 08.06.06) გადაწყვეტილება გააუქმა იმ საფუძველზე, რომ საქმეში არ იყო ჩაბმული სათანადო მოპასუხე, თუმცა შემდგომ სათანადო მოპასუხის პოზიცია არ გაითვალისწინა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: თუ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არასათანადო მოპასუხე შეიცვალა სათანადო მოპასუხით, მაშინ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკითხის გადაწყვეტისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათანადო მოპასუხის პოზიცია, კერძოდ, როგორია მისი შესაგებელი, ხომ არ ცნობს სარჩელს, თანახმაა თუ არა, რომ საქმე განიხილოს სააპელაციო სასამართლომ და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ განაცხადა, რომ საწინააღმდეგო არაფერი აქვს, არ აქვს ინტერესი და თავს აპელანტად არ მიიჩნევს. სათანადო მოპასუხედ ჩაბმული მხარის ამ განმარტებების მოსმენის შემდეგ, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო გამოერკვია, ხომ არ ცნობდა იგი სარჩელს ან სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, ხომ არ არსებობდა სააპელაციო წარმოების შეწყვეტის საფუძველი. ამდენად, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (განჩინება №881-829-2010 18.04.11).

სასამართლოს შეცდომა (არასათანადო მოპასუხის შეცვლა, სკ-ის 85-ე მუხლი. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18¹ მუხლი):

საქმეში მოპასუხედ ჩაბმულია არასათანადო მხარე. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2084-10 09.12.10), ახალქალაქის რაიონული სასამართლოს (№2/109-09 15.04.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მხარის (ფინანსთა სამინისტროს) შუამდგომლობა სსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად, არასათანადო მხარედ ცნობის თაობაზე არ დააკმაყოფილა, რითაც უგულებელყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18¹ მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 85-ე მუხლი ავალებს სასამართლოს, გამოარკვიოს სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად აირჩია თუ არა მოსარჩელემ ის პირი, რომელსაც თავისი დარღვეული უფლების აღდგენა უნდა მოსთხოვოს. აღნიშნული ნორმის მიზანია, დავაში ჩაბმული არ აღმოჩნდეს და მოპასუხის საპროცესო მოვალეობანი არ დაეკისროს ისეთ პირს, რომელსაც მოსარჩელის კანონიერ უფლებებთან რაიმე კავშირი არ გააჩნია. ისეთი გადაწყვეტილების აღსრულებისას, სადაც კრედიტორ მხარედ მითითებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი სახელმწიფო დაწესებულებით უნდა იქნეს იგი წარმოდგენილი აღსრულების პროცესში. ასეთია: 1. აღსასრულებელი გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფო ორგანო ან პირი; 2. სასამართლოსათვის აღსასრულებელი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის ავტორი. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე სათანადო მოპასუხის დადგენის მიზნით ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (განჩინება №ას-168-162-2011 16.06.11).

სასამართლოს შეცდომა (საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, სსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/277-2010 02.07.10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№32/631-08 15.01.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად განმარტა სსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. საქმის მასალების თანახმად, არბიტრაჟმა განიხილა საქმე, რაც მის კომპეტენციაში არ შედიოდა. ამასთან დაკავშირებით არბიტრის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ, რის თაობაზეც მასალა დაიბეჭდა პრესაში და გადაიცა ტელევიზიით. სააპელაციო პალატამ ზემოთ მითითებული გარემოება მიიჩნია საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად და საფუძველად დაუდო მიღებულ გადაწყვეტილებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სასამართლოს მიერ ყველა ფაქტობრივი გარემოება დგინდება მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებიდან. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები. მითითებული ფაქტები, განსხვავებით ამავე მუხლით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებისაგან საერთოდ არ საჭიროებენ რაიმე დოკუმენტის თუ მტკიცებულების წარდგენას გარკვეული გარემოების დასადგენად. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მითითებული ფაქტის საყოველთაოდ ცნობილად მიჩნევისთვის, უკიდურეს შემთხვევაში, არბიტრი პოპულარული, მოსახლეობის ყველა ფენისათვის ცნობილი უნდა იყოს და მისი ცნობრება საყოველთაო ინტერესს იწვევდეს. შესაძლებელია, მისი დაკავება იყოს ისეთი მნიშვნელოვანი მისი არაორდინალურობის ან სხვა გარემოებათა გამო, რომ მან მთელ მოსახლეობაში გამოიწვიოს ინტერესი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 412-ე

მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-811-760-2010 13.01.11).

სასამართლოს შეცდომა (სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა, სსკ-ის 233-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2011-2010 21.10.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (16.04.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მიიჩნია, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებით მოპასუხეს მხოლოდ შესაგებლის წარდგენის ვადა განუსაზღვრა და ამავე განჩინებით იგი არ გააფრთხილა სასამართლოს სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ, არსებობდა სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება, ჩააბაროს ასევე სასამართლოს შენობაში. ამავე კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით კი, სასამართლო უწყება უნდა შეიცავდეს მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო სხდომის თარიღი მხარეს ზემოხსენებული კანონის დანაწესის შესაბამისად, სასამართლოს შენობაში ეცნობა და განემარტა საქმის განხილვაზე მისი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ, რაც დასტურდება სასამართლო უწყებაზე მხარის წარმომადგენლის ხელმოწერით. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხე სასამართლოს მიერ დადგენილ დროს საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი აცნობა სასამართლოს. განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი გარემოება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-1253-1101-10 17.02.11).

სასამართლოს შეცდომა (ალიარება, სსკ-ის 131-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/34-10 20.05.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/5068-09 30.10.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა სსკ-ის 131-ე მუხლი, კერძოდ, პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ერთ-ერთი მოპასუხის მიერ ალიარებული ვალდებულება, თუმცა მისი შესრულება მეორე მოპასუხეს დააკისრა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მითითებული ნორმით გათვალისწინებული ფაქტის ალიარება სამოქალაქო საპროცესო სამართლით უტყუარ მტკიცებულებად მიჩნეული, რადგან იგი ფაქტის ამლიარებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ და მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ არის განხორციელებული, თუმცა, სსკ-ის 131-ე მუხლით, ალიარების ამა თუ იმ ფაქტის უტყუარად დამდგენ და უდავო მტკიცებულებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი იმ მხარემ განახორციელოს, რომელთან მიმართებითაც შემდგომში იქნება გამოყენებული. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ

გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-960-903-2010 07.03.11).

სასამართლოს შეცდომა (წერილობითი მტკიცებულების დედნის წარდგენა, სსკ-ის 135-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/719-09 01.07.09) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/2900-08 20.02.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, ასლებს მტკიცებულების ძალა მიანიჭა, მიუხედავად იმისა, რომ დედნების წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოებები მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 135-ე მუხლის ანალიზით, მტკიცებულების ძალა გააჩნია დოკუმენტის დედანს. დოკუმენტის ასლი სასამართლოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეუძლია მტკიცებულებად მიიჩნიოს. ამისთვის მხარემ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად და ნათლად უნდა დაადასტუროს, რომ დოკუმენტის დედანი არსებობს ან არსებობდა, მაგრამ მას, ობიექტური მიზეზების გამო, არ შეუძლია მისი წარმოდგენა. განსახილველ შემთხვევაში ასეთი გარემოება არ დასტურდება. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-967-1246-09 03.08.11).

სასამართლოს შეცდომა (წერილობითი მტკიცებულების ნამდვილობის შემოწმება სასამართლოს ინიციატივით, სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/880-09 17.02.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/1178-06 31.03.08) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არ გამოიკვლია წერილობითი მტკიცებულება, რომელიც საფუძველად დაედო საქმის წარმოების განახლებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: წერილობითი მტკიცებულების საფუძველზე საქმის წარმოების განახლება არ ნიშნავს, რომ ამ საბუთის გამოკვლევა აღარ ხორციელდება. საქმის არსებითი განხილვის დროს ამ გარემოებებისა და მტკიცებულებების შესწავლა-გამოკვლევა წარმოებს საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად წარდგენილი წერილობითი მტკიცებულებათა ნამდვილობის შემოწმება შესაძლებელია სასამართლოს ინიციატივით. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (განჩინება №ას-631-592-2011 26.09.11).

სასამართლოს შეცდომა (ექსპერტის დასკვნის შემოწმება, სსკ-ის 171-ე მუხლი. განმეორებითი ექსპერტიზა, სსკ-ის 173-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№128 02.03.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/274-10 16.12.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არ გაიზიარა ექსპერტის დასკვნა, იმ მიზეზით, რომ მისი დასკვნითი ნაწილი წინააღმდეგობრივია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ სადავო ექსპერტის დასკვნა არც თუ ნათლად ადგენს საქმისათვის

არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებს, თუმცა, როდესაც არსებობს სადავო საკითხის გამოსაკვლევად ჩატარებული ექსპერტიზის ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები ან სასამართლო დასკვნას არასწორად, ან დაუსაბუთებლად მიიჩნევს, კანონმდებლობა ითვალისწინებს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებას (მაშინ, თუ მის გარეშე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა შეუძლებელია) ან, თუ თვით ექსპერტის დასკვნა განმარტებას მოითხოვს, სასამართლოს შეუძლია, მოიწვიოს ექსპერტი. თუკი სააპელაციო სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნა წინააღმდეგობრივად მიიჩნია, მას შეეძლო, ერთ-ერთი ზემოაღნიშნული მეთოდით (ექსპერტის განმარტებით ან განმეორებითი ექსპერტიზით) გაერკვია სპეციალისტის აზრი სადავო საკითხთან მიმართებით (**განჩინება №ას-689-650-2011 18.10.11**).

სასამართლოს შეცდომა (ექსპერტის დასკვნის შეფასება, სსკ-ის 172-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1193-10 15.10.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/3077-08 08.01.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დააფუძნა ექსპერტის დასკვნას, რომელიც სასამართლოს მიერ ყოველგვარი კრიტიკისა და შეფასების გარეშე მტკიცებულებად იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მართალია, ექსპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც დავის არსიდან გამომდინარე სადავო საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, თუმცა ექსპერტის დასკვნა, სსკ-ის 172-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და უნდა შეფასდეს სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით, ყოველმხრივ, სრულად და საქმეში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 412-ე მუხლით, გადაწყვეტილება დააბრუნა იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად (**განჩინება №ას-336-320-2011 26.09.11**).

– ანალოგიურია საქმე №ას-1009-946-2011 07.04.11 და №ას-1019-1050-2011 17.10.11.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ №28/4073-10 14.04.11; №28/1856-09 19.03.10.

ზოლო, გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/8504-09 25.10.10; №2/1179-09 26.01.09).

სასამართლოს შეცდომა (მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები, სსკ-ის 215.3-ე მუხლი): თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/372-10 09.11.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/5753-09 01.12.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა, როდესაც იგი მხარის წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ მტკიცებულებად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება, კერძოდ, ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა ობიექტურ გარემოებებს, რომლებსაც შეეძლოთ მხარისათვის ხელი შეეშალათ. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა ხსენებული ნორმის დანაწესს არ შეესაბამება, ვინაიდან მას სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი ხელს არ აწერს და მითითებული დოკუმენტით არ დასტურდება სასამართლო სხდომის დღეს

მხარის წარმომადგენლის ავადმყოფობა, რამაც სასამართლოში გამოცხადება ობიექტურად შეუძლებელი გახადა (დიაგნოზი-ალგოლისმენორეა). საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-1299-1144-2010 17.03.11).

– სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა ასევე დარღვეულია საქმეზე №ას-956-994-2011 22.12.11.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ №2ბ/1676-10 14.04.11. ხოლო, გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/78-03 30.12.09).

სასამართლოს შეცდომა: (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებანი, სსკ-ის 233-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1929-11 30.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№2/6304-09 04.06.10) შემოსული საჩივრის განხილვისას სასამართლო გზავნილი მხარისათვის ჩაბარებულად არასწორად მიიჩნია. კერძოდ, ერთსა და იმავე მისამართზე გაგზავნილი გზავნილი ორმა სხვადასხვა პირმა ჩაიბარა. ორივე მათგანი მხარის დედად არის დაფიქსირებული. ამასთან, შეტყობინების არც ერთ ბარათზე უწყების მიმღების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (პირადი ნომერი) აღნიშნული არ არის.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 233-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით ან გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან შეუძლებელია მხარეს ორი სხვადასხვა სახელის და გვარის მქონე დედა ჰყავდეს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს გზავნილი მხარისათვის ჩაბარებულად არ უნდა მიეჩნია. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, ასეთ პირობებში, სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში არ უნდა დაეტოვებინა (განჩინება №ას-1282-1302-2011 14.11.11).

სასამართლოს შეცდომა (მტკიცების ტვირთი, სსკ-ის 102-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-815 09.06.10) სამტრედიის რაიონული სასამართლოს (№2/83-09 31.07.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის, კერძოდ, მოპასუხის (საზოგადოების დირექტორის) მიერ საწარმოში არსებული მოგების არამიზნობრივად ხარჯვის ფაქტის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს დააკისრა, შესაბამისად, არც მოპასუხის შესაგებელზე, მასში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე არ უმსჯელია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას, სწორედ საზოგადოების დირექტორმა უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომ საწარმოს მოგება მან არა პირადი საჭიროებისათვის, არამედ მართლზომიერად, საზოგადოების ინტერესების შესაბამისად გახარჯა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განსახილველ შემთხვევაში საწარმოს მოგების ხარჯვის კანონიერების დამტკიცების ტვირთი არა მოსარჩელისათვის, არამედ მოპასუხის, საზოგადოების დირექტორისათვის უნდა დაეკისრა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო პალატამ საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად (განჩინება №ას-764-715-2010 18.04.11);

– სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით განხილულია შემდეგი საქმეები:

№ას-499-468-2010 25.01.11; №ას-936-974-2011 15.11.2011; №ას-249-234-2011 21.07.11; №ას-587-555-2011 02.11.11.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/111-09 07.12.10; №2ბ/1121-09 15.09.10; №2ბ/275-10 16.02.11;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/8-177 29.03.10;

ზოლო, გადაწყვეტილებები მიიღეს შემდეგმა პირველი ინსტანციის სასამართლოებმა: ქობულეთის რაიონულმა სასამართლომ (№2-293 30.10.08); თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/7564-06 23.07.07; №2/4031-07 29.12.08; №2/6191-09 27.11.09);

სასამართლოს შეცდომა (მტკიცებულების გამოკვლევა-შეფასება, სსკ-ის 105-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-705 22.09.10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№2/79-10 07.06.10) შემოსული საჩივრის განხილვისას მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სსკ-ის 104-ე მუხლის თანახმად მიიღო, როგორც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე, თუმცა შემდგომ არ შეუფასებია, არც იმ მოსაზრებებზე არ მიუთითა, რომლითაც უარყო ხსენებული მტკიცებულებები, რითაც დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნა, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ დასკვნის გამოტანის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 104-ე მუხლის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს იმ მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს. აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზით სასამართლო აგროვებს მხოლოდ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს ადასტურებენ. ამასთან, სსკ-ის 249-ე მუხლი სასამართლოს ავალდებულებს დაასაბუთოს მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესებიდან გამომდინარე, სასამართლომ სამოქალაქო საქმეზე კანონით დადგენილი წესით (დასაშვებობისა და განკუთვნიადობის პრინციპით) მიღებული ყველა მტკიცებულება უნდა შეაფასოს. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-1193-1053-2010 15.03.11);

– ანალოგიური საქმეებია: №ას-1264-1111-2011 23.03.11; №ას-213-200-2011 21.06.11; №ას-576-544-2011 06.10.11; №ას-856-806-2010 17.02.11; №ას-940-886-2010 13.01.11; №ას-404-384-2011 15.07.11; №ას-1384-1220-2010 12.05.11; №ას-776-830-2011 27.06.11; №ას-565-533-2011 09.06.11; №ას-889-837-2010 14.03.11.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/35-10 29.04.10; №2ბ/2359-10 20.10.10; №2ბ/3881-10 02.02.11; №2ბ/1316-10 02.08.10; №2ბ/3251-10 13.01.11; №2ბ/1613-10 25.03.11; №2ბ/3897-10 14.02.11;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/377-10 16.06.10; №2/ბ-796 03.11.10; №2ბ/439-2010 30.06.10;

გადაწყვეტილებები კი მიიღეს შემდეგი პირველი ინსტანციის სასამართლოებმა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/5697-07 26.12.08; №2/5697-07 26.12.08; №2/741-10 15.09.10; № 01.02.10; №2/61813-06 16.11.10; №2/10305-08 26.12.08; №2/1158-08 30.09.10); გორის რაიონულმა სასამართლომ (№2/18/-08 03.06.10); სენაკის რაიონულმა სასამართლომ (№2/47 24.06.10); ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (№2/37 18.03.10).

ბათუმის საქალაქო სასამართლომ (№3/209-08 27.02.09).

სასამართლოს შეცდომა (სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი, სსკ-ის 249-ე, 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი):

თბილისის სააპელაციო სასამართლო (№28/1753-10 20.10.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/6120-09 08.04.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას და განჩინებაში მხოლოდ მათზე მითითებით შემოიფარგლა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. „მოკლე დასაბუთება“ არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-1367-1205-2010 17.02.11).

– ანალოგიური საქმეებია: №ას-1243-1093-2010 17.02.11; №ას-931-878-2010 15.03.11; №ას-77-67-2011 11.04.11; №ას-328-312-2011 30.05.11; №ას-339-323-2011 30.05.11; №ას-359-339-2011 30.05.11; №ას-447-422-2011 25.05.11; №ას-1360-1198-2010 25.05.11; №ას-2-2-2011 31.05.11; №ას-166-160-2011 06.06.11; №ას-228-213-2011 20.06.11; №ას-335-319-2011 06.06.11; №ას-452-427-2011 23.06.11; №ას-361-341-11 20.06.11; №ას-263-247-2011 06.06.11; №ას-726-781-2011 18.07.11; №ას-9-6-2011 04.07.11.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №28/1255-2010 20.10.10; №28/1785-09 22.06.10; №28/1328-10 25.11.10; №28/2607-10 11.11.10; №28/1125-09 30.12.10; №28/1860-10 09.11.10; №28/2187-10 13.01.11; №28/270-10 22.10.10; №28/2417-10 25.11.10; №28/1026-10 30.11.10; №28/2291-10 12.01.11; №28/2411-10 25.01.11; №28/2730-10 28.12.10; №28/2257-10 15.09.10; №28/1240-10 09.12.10; №28/420-10 15.10.10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №28/652-10 01.11.10.

გადაწყვეტილებები კი მიიღეს შემდეგი პირველი ინსტანციის სასამართლოებმა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/77-08 18.06.09; №2/1560-09 23.04.09; №2/1998-10 17.06.10; №2/4919-09 30.03.09; №2/9651-09 04.03.10; №2/1034-09 12.03.10; №2/4395-09 30.10.09; №2/2095-10 07.06.10; №2/5097-09 26.02.10; №2/8942-09 27.05.10; №2/1402-10 02.06.10; №2/6374-09 19.03.10; №2/9758-09 14.05.10; №2/8334-09 12.02.10; №2/2944-07 17.11.09); ხაშურის რაიონულმა სასამართლომ (№2/436-10 22.03.10); ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (№2/863-09 06.05.10).

2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები

სასამართლოს შეცდომა (საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან დადებული სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემის აკრძალვა):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/2768-10 13.04.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/5678 17.11.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემის აკრძალვის თაობაზე საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან დადებული სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე უსაფუძვლოდ მიიჩნია და განმარტა, რომ მოპასუხე აწარმოებს მაუწყებლობის ტრანზიტს და გააჩნია შესაბამისი ლიცენზია. იგი თავად არ ქმნის ახალ სატელევიზიო ნაწარმს გადაცემის ან სიუჟეტის სახით, არამედ თავისი ქსელის მეშვეობით ახორციელებს სიგნალის გატარებას და მის უცვლელად მიტანას აბონენტამდე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მსგავს დაგეგმულ საქასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა: მუსიკალური ნაწარმოებების კაბელით ტრანზიტი წარმოადგენს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცვის ობიექტს. ასეთ შემთხვევაში, მართალია, მხარე თვითონ არ ქმნის ახალ სატელევიზიო ნაწარმს, იგი ახორციელებს მაუწყებლობის ტრანზიტს, ანუ სიგნალის უცვლელად გავრცელებას აბონენტამდე. მიუხედავად ამისა, სიგნალის ტრანზიტი კაბელის მეშვეობით წარმოადგენს ნაწარმოების გამოყენების თავისებურ სახეს, რაც დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, და, შესაბამისად, ასეთი სახით ნაწარმოების გამოყენებისათვის აუცილებელია ავტორის ან საავტორო უფლების მფლობელის ნებართვა. ზემოთ ხსენებული კანონის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ივარაუდება, რომ ყველა ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლების ობიექტი, რომელიც საჯაროდ სრულდება, გადაიცემა ეთერით, კაბელით ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი ხდება, შედის ავტორთა საზოგადოების რეპერტუარში. შესაბამისად, სალიცენზიო ხელშეკრულებები იდება რეპერტუარში შემავალ კონკრეტულ ნაწარმოებებზე. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვიტა, რომ მუსიკალური ნაწარმოებების კაბელით გადაცემა უნდა განხორციელდეს საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან დადებული სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე (გადაწყვეტილება №ას-1217-1068-2010 14.02.11);

– ანალოგიური საქმეა №ას-1219-1070-10 24.02.11; №ას-762-713-2010 17.01.11; №ას-1029-965-2010 07.03.11; №ას-1010-947-10 01.04.10.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ №28/2647-10 22.03.11; №28/2766-10 09.06.10; №28/2767-10 14.06.10.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2/ბ-327 09.06.10;

გადაწყვეტილებები კი მიიღეს შემდეგი პირველი ინსტანციის სასამართლოებმა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/3268-07 27.10.09; №2/4669-07 17.11.09; №2/5625-07 17.11.09). ბათუმის საქალაქო სასამართლომ: (№2/734 31.08.07);

სასამართლოს შეცდომა (სამკვიდროს გაყოფა, სკ-ის 1452-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/475-10 29.04.10), დედოფლისწყაროს მაგისტრატის სასამართლომ (№2/710-08 07.09.08) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად განსაზღვრა მემკვიდრეთა წილი მამკვიდრებლის ქონებიდან,

კერძოდ, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე. სამმა მათგანმა სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილ ზომებს მიმართა. ერთ-ერთი მემკვიდრე გარდაიცვალა, თუმცა სამკვიდროს მიღებაზე პრეტენზია არც მას და არც მის მემკვიდრეებს არ განუცხადებიათ. მიუხედავად ამისა, პალატამ თითოეულ მემკვიდრეს სამკვიდროდან წილი მიაკუთვნა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 1452-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო გაიყოფა სამკვიდროს მიძღვნილი მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილის კვალობაზე, რაც თითოეულ მათგანს კანონით ან ანდერძით ერგებათ. მითითებული ნორმიდან და ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სამკვიდრო მიღებულია რა სამი თანაბარი უფლების მქონე მემკვიდრის მიერ, სამკვიდრო მათ შორის თანაბრად უნდა განაწილდეს. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით თითოეულ მათგანს სამკვიდროდან განესაზღვრა ქონების 1/3 ნაწილი (**გადაწყვეტილება №ას-839-788-2010 18.01.11**).

სასამართლოს შეცდომა (რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, სკ-ის 312-ე მუხლი; კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვა, სკ-ის 185-ე მუხლი):

დავა ეხება კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვას. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/288-10 09.07.10) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს (№2/23 18.02.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო ორივე მხარის ახლობლის შუამავლობით, დაადგინა, მყიდველისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო გამყიდველის საკუთრებაზე არსებული დავის შესახებ. ასეთ ვითარებაში, კი, რეესტრის ჩანაწერი ვერ გახდება მყიდველის კეთილსინდისიერების გარანტი. პალატამ მიიჩნია, რომ, სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, არსებობს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: დავის განმავლობაში ნივთის გასხვისებისას მყიდველს შეიძლება, არ ჰქონდეს ინფორმაცია შეძენილ ქონებასთან დაკავშირებული დავის არსებობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში შეძენი ითვლება კეთილსინდისიერად და მისი უფლება დაცულია კანონით (სკ-ის 185-ე და 312-ე მუხლები). თუ შეძენი ინფორმირებულია შესაძენ ნივთთან დაკავშირებული დავის თაობაზე, იგი ხდება იმ რისკის მატარებელი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება, დადგეს ამ ნივთის მიმართ. მხოლოდ იმაზე მითითება, რომ შეძენმა დავის განმავლობაში შეიძინა ნივთი და ამის თაობაზე იგი ინფორმირებული იყო, შეუძლებელია იგი მივიჩნიოთ არაკეთილსინდისიერად და მას ჩამოვართვათ ნივთი. შეძენი არ შეიძლება ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერად და მასთან დადებული გარიგება გაბათილდეს, თუ რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის ყველა დოკუმენტი ამ ნივთთან დაკავშირებით სამართლებრივად მოწესრიგებულია და სასამართლო დავის წაგების რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი. დავის დროს ქონების გასხვისებისას არაკეთილსინდისიერებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც შეძენისათვის ცნობილია, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეს საკუთრების უფლება არამართლზომიერად აქვს მოპოვებული და ნივთი სხვისდება შესაბამისი სამართლებრივი შედეგის თავიდან აცილების მიზნით. თუ შეძენი დარწმუნებულია რეესტრის მონაცემების უტყუარობაში და მისთვის უცნობია რეგისტრაციის არამართლზომიერების თაობაზე, იგი კეთილსინდისიერია და მას ნივთი არ ჩამოერთმევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო

სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (განჩინება №ას-888-836-2010 17.02.11).

სასამართლოს შეცდომა (სამკვიდრო ქონება და სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა, სკ-ის 1328-ე და 1426-ე მუხლები):

განსახილველი შემთხვევა ეხება სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/118-10 20.07.10) სიღნაღის რაიონული სასამართლოს (26.11.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი ვადის გაშვება საპატიოდ მიიჩნია, იმ მიზეზით, რომ სამკვიდრო ქონება საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული მამკვიდრებლის სახელზე მისი გარდაცვალებისას, ანუ სამკვიდრო მასა შედგებოდა მხოლოდ უფლებისგან. პალატის განმარტებით კი, უფლების მიღების რაიმე სპეციალურ ფორმას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება, გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. კანონმდებელი საპატიობის კრიტერიუმებს არ აზუსტებს, აღნიშნული ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარეობს, თუმცა, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს. ა. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; ბ. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძველით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძველის აღმოფხვრის შემდეგ მიმართა. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ მოსარჩელემ იცოდა სამკვიდროს გახსნის შესახებ. ამდენად, სასამართლოს მტკიცება ქონების საჯარო სამსახურში დაგვიანებით აღრიცხვის თაობაზე უსაფუძველოა, ვინაიდან მამკვიდრებელს სადავო უძრავ ნივთზე უფლება მოპოვებული ჰქონდა საჯარო რეესტრში მის აღრიცხვამდე. სკ-ის 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალიზით, სამკვიდრო წარმოადგენს იმ უფლებებისა და ვალდებულებების კომპლექსს, რომელიც მამკვიდრებელს სიცოცხლეში ჰქონდა. სამკვიდროში შეღის არა კონკრეტული საგნები, არამედ მამკვიდრებლის უფლება ამ საგნებზე. ამასთან, უფლება ნივთზე (საკუთრების, სარგებლობის) იმავე სახით გადადის მემკვიდრეებზე, რა სახითაც ის მამკვიდრებელთან არსებობდა. ამდენად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადავო ნივთზე (საცხოვრებელი სახლი) უფლება, მიუხედავად ამ უფლების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის განუხორციელებლობისა, შეღის სამკვიდრო მასაში (გადაწყვეტილება №ას-851-800-2010 16.02.11).

სასამართლოს შეცდომა (სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება, სკ-ის 1426-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1104-09 22.10.10) სიღნაღის რაიონული სასამართლოს (№2/109-07 21.04.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა სკ-ის 1426-ე მუხლი. პალატის მოსაზრებით, სამკვიდროს მიღების უფლების ვადაში განუხორციელებლობისას გადამწყვეტი უნდა იყოს ვადის გაშვების საპატიობა სამკვიდროს გახსნიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში, მიუხედავად შემდგომში უფრო ხანგრძლივი ვადაგადაცილებისა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: იმის დასადგენად, გადააცილა თუ არა საპატიო მიზეზით მხარემ კანონით დადგენილ სამკვიდროს მიღების ვადას, უნდა შეფასდეს არა

მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ დროში სანოტარო ორგანოსთვის მიმართვის ან ქონების დაუფლების შეუძლებლობის ფაქტი, არამედ იმ ვადის საპატიოობაც, რომლითაც მან გადააცილა ამ მოქმედებათა განხორციელების ვადას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე, ფაქტობრივი გარემოებების დამატებით გამორკვევის მიზნით ხელახლა განსახილველად დააბრუნა საქმე იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-177-167-2011 07.07.11).

სასამართლოს შეცდომა (სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა, სკ-ის 1426-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№28/865-10 08.10.10) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს (№2/192-10 05.08.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად შეაფასა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების საპატიოობის კრიტერიუმები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მართალია, კანონმდებელი სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის კრიტერიუმებს არ აზუსტებს, ვინაიდან იგი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომით უნდა გადაწყდეს. ამასთან, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: ა. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; ბ. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძველით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძველის აღმოფხვრის შემდეგ მიმართა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს, სამკვიდროს გახსნის მომენტიდან ექვსი თვის ვადაში საპატიო გარემოების – არასრულწლოვანებისა და სათანადო წარმომადგენლის არარსებობის გამო, არ შეეძლო სამკვიდროს მიღება და ასეთივე მემკვიდრეობის მიღების ხელშემშლელი საპატიო გარემოებები არსებობდა მისი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც, კერძოდ, იგი სრულწლოვანი გახდა 2008 წლის 8 აგვისტოს, როდესაც, მართალია, ქვეყანაში გამოცხადებული საომარი მდგომარეობა ერთი თვით გაგრძელდა, მაგრამ საზოგადოებაში შექმნილმა ემოციურმა დაძაბულობამ საკმაოდ დიდხანს გასტანა. ამ მხრივ საფუძველს არ არის მოკლებული კასატორის მოსაზრება, რომ ომმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მის ოჯახზე, როგორც იძულებით გადაადგილებულებზე. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და სასარჩელო მოთხოვნა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების თაობაზე დააკმაყოფილა (გადაწყვეტილება №ას-1224-1076-2010 12.04.11).

სასამართლოს შეცდომა (კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვა, სკ-ის 185-ე მუხლი):

მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება ყალბი საბუთების საფუძველზე აღირიცხა სხვა პირის საკუთრებაში, რომელმაც აღნიშნული ქონება იპოთეკით დატვირთა. მართალია მოსარჩელეს უძრავი ქონება დაუბრუნდა საკუთრებაში, თუმცა სადავოდ დარჩა იპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილობა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/191-09 05.05.09) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/297-07 17.12.08) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას განმარტა შემდეგი, რადგან იპოთეკით დატვირთულია იმ პირის ქონება, რომელიც სესხის ხელშეკრულების მხარეს არ წარმოადგენდა, შესაბამისად, მესაკუთრის ნების გამოვლენის გარეშე დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილად აღიარება ეწინააღმდეგება საკუთრების აბსოლუტურ ხასიათს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სადავო იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას უძრავი ქონება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო გამყალბების სახელზე, რომლის ჩანაწერების მიმართაც მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმპცია, ასევე, იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ იპოთეკარისათვის ცნობილი იყო ნამდვილი მესაკუთრის ვინაობის შესახებ საქმეში არ მოიპოვება, გამოიკვეთა პირის კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნევის აუცილებელი სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხე კეთილსინდისიერი შემძენია, იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ არამართებულია (**გადაწყვეტილება №ას-957-900-2010 15.03.11**).

სასამართლოს შეცდომა (მოჩვენებითი გარიგება, სკ-ის 56-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1022-09 23.06.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/4017-09 05.02.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება დაილო კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისად, გარიგება მოჩვენებითია, რაც დასტურდება ერთი იმით, რომ დასაჩუქრებულის სასარგებლოდ ისედაც არსებობდა ანდერძი და მეორე – გამჩუქებელს არ შეუწყვეტია გამჩუქებული ქონების ფლობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოჩვენებითი გარიგებაა, როდესაც მხარის მიერ გამოვლენილი ნება მათ რეალურ განზრახვას არ შეესაბამება. ნების ნაკლს მრავალი გარემოება შეიძლება, ადასტურებდეს, მაგრამ არა ის ფაქტი, რომ მონადერძემ მიზანშეწონილად მიიჩნია ქონების სიცოცხლეშივე განკარგვა და თავისი მემკვიდრისათვის ჩუქება. სკ-ის 170-ე მუხლით მესაკუთრეს შეუძლია არა მხოლოდ თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს თავისი ქონებით, არამედ თავისუფლად განკარგოს კიდევ იგი, თუ უფლების ბოროტად გამოყენება არ ხდება. არც ის გარემოება, რომ გამჩუქებელს არ შეუწყვეტია გასხვისებული ქონების ფლობა, ყოველთვის გარიგების მოჩვენებითობაზე არ მეტყველებს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დასაჩუქრებული გამჩუქებელთან ერთად ცხოვრობდა მის საკუთრებაში გადასულ ბინაში, ამასთან, მჩუქებელს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და სხვა პირის მზრუნველობას საჭიროებდა. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 412-ე მუხლით, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად (**განჩინება №ას-1049-983-2010 14.04.11**).

სასამართლოს შეცდომა (შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე, სკ-ის 987-ე მუხლი)

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/999-09 06.04.10) დუშეთის მაგისტრატი სასამართლოს (06.12.04) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მართებულად გამოიყენა სსკ-ის 987-ე მუხლი, მაგრამ არ დაადგინა ამ ნორმის სწორად შეფარდებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, პალატას უნდა გამოერკვია, თუ რა სახით არსებობდა მოპასუხის უძრავი ქონება მოსარჩელის მიერ სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებამდე და რა სახით იქნა იგი დაბრუნებული მოპასუხისათვის.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მითითებული მუხლის მთავარი დებულება ისაა, რომ სხვა პირის ქონებაზე გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს. ამასთან, სხვა პირის ქონებაზე

შეგნებულად ან შეცდომით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა, ხოლო თუ გამდიდრების ფაქტი არ არის სახეზე, მაშინ მართო ხარჯის გაწევა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას. გამდიდრების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტი სათვის, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი. ამ დროს უნდა გაირკვეს რა სახით იყო ნივთი გადაცემული და როგორი სახით ბრუნდება უკან. ასეთ შემთხვევაში რეალურად ჩანს გამდიდრების ხარისხი. გარდა ამისა, შესაძლებელია, გამდიდრება გამოიხატოს დაბრუნებული ნივთიდან აღრინდელთან შედარებით მეტი სარგებლის მიღებაში, რადგან მნიშვნელოვნადაა გაზრდილი დაბრუნებული ნივთის ღირებულება. ორივე შემთხვევაში მოვალის გამდიდრების ფაქტია მთავარი და გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს გამდიდრების ოდენობის შესაბამისად. კონდიქციურმა მოთხოვნამ არ უნდა გამოიწვიოს გამდიდრებული პირის ქონების იმაზე მეტად შემცირება, რითაც იგი გამდიდრდა. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და საქმე დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად (**განჩინება №ას-711-666-2010 20.04.11**).

სასამართლოს შეცდომა (ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას, სკ-ის 365-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/518 30.06.10) ტყიბულის რაიონული სასამართლოს (20.06.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მოწმეთა ჩვენებებისა და მოპასუხის არგუმენტის საფუძველზე დაადგინა სესხის ზეპირი ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: თუ სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით, მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით. მოცემულ საქმეზე მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ სესხის ხელშეკრულება ვადიანი იყო. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ მხარეები სესხის დაბრუნების ვადაზე არ შეთანხმებულან. ე.ი. სახეზეა განუსაზღვრელი ვადით დადებული სესხის ხელშეკრულება. სკ-ის 365-ე მუხლის მიხედვით, კი თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი არც სხვა გარემოებებიდან ირკვევა, მაშინ კრედიტორს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისი შესრულება. მოვალე, კი ვალდებულია მოთხოვნიდან სამი თვის განმავლობაში დააბრუნოს ვალი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (**გადაწყვეტილება №ას-858-807-2010 16.05.11**).

სასამართლოს შეცდომა (სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები, სსკ-ის 248-ე მუხლი; ხელშემშლის აღკვეთა, სკ-ის 172.2-ე მუხლი; აუცილებელი გზა, სკ-ის 180-ე მუხლი):

დავის საგანია საზიარო გზით სარგებლობაში ხელშემშლის აღკვეთა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/752-09 11.05/10) ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს (№2-19 05.08.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, დაარღვია რა სსკ-ის 248-ე მუხლის დანაწესი, გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და დაადგინა მოპასუხის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის უკანონოდ ფლობის ფაქტი, შეცდომად მიიჩნია საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორე, რითაც ფაქტობრივად გააუქმა მიწის ნაკვეთზე მოპასუხის საკუთრების უფლება. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად

არასწორად გამოიყენა სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს არ წარმოადგენს რეესტრის ჩანაწერის სისწორე და არც რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების უფლება, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი შეცდომად მიეჩნია საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორე და დაედგინა სადავო მიწის ნაკვეთის მოპასუხის მიერ უკანონოდ ფლობის ფაქტი. სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების წინაპირობები, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეშლის აღკვეთა შეიძლება მოითხოვოს მესაკუთრემ, რომელიც კვლავაც ნივთის მფლობელად რჩება, მაგრამ, სხვისი უკანონო მოქმედების გამო, ხელი ეშლება საკუთრების გამოყენებაში. განსახილველ შემთხვევაში სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრესაც და მფლობელსაც წარმოადგენს მოპასუხე. არასწორად არის გამოყენებული სკ-ის 180-ე მუხლიც, რადგანაც მოცემული დავის საგანს არ წარმოადგენს აუცილებელი გზა. მოსარჩლეები თავიანთ მოთხოვნას აფუძნებენ იმ გარემოებას, რომ მოპასუხის მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთზე თავიდანვე არსებობდა მოსარჩელეთა მიწის ნაკვეთთან მისასვლელი საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი გზა, რომელიც მოპასუხემ უკანონოდ მითვისა და დაირეგისტრირა საჯარო რეესტრში. მოსარჩელეთა განმარტებით, მათ ეზღუდებათ საზოგადოებრივი გზით სარგებლობის უფლება, ამიტომაც მოითხოვენ მათი უფლების აღიარებას საერთო სარგებლობის საზოგადოებრივ გზაზე და ამ გზით სარგებლობაში მოპასუხის მხრიდან ხელშეშლის აღკვეთას. ამდენად, მოსარჩლეები არ აღიარებენ რა სადავო მიწის ნაკვეთზე მოპასუხის საკუთრების უფლებას, მათი მოთხოვნაა არა აუცილებელი გზა, არამედ – საზოგადოებრივი გზით სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთა. საკასაციო პალატის გადაწყვეტილების თანახმად, სკ-ის 180-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა იმ შემთხვევაში იარსებებდა, თუ მოსარჩლეები სადავოდ არ განდიდნენ სადავო მიწის ნაკვეთზე მოპასუხის საკუთრების უფლებას და დაამტკიცებდნენ, რომ მათ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან (**გადაწყვეტილება №1ს-708-663-2010 16.05.11**).

სასამართლოს შეცდომა (სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№23/294-10 16.06.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/1395-08 05.11.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი. მისი მოსაზრებით, ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება გახდეს კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც გამომდინარეობს კოდექსის ზოგადი ნორმებიდან და გულისხმობს თითოეული მხარის მოვალეობას, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ერთმანეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისას მხარეთა მოვალეობები მოქცეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა ფარგლებში. სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავს მითითებას კეთილსინდისიერებასთან მიმართებაში. აღნიშნული ნორმის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები ანუ

კეთილსინდისიერება უკავშირდება პირისათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და არა იმის შესრულებას, რაც მას არც ხელშეკრულებით და არც სხვა სახით მხარის მიმართ არ უკისრია (განჩინება №ას-1388-1224-2010 23.06.11).

სასამართლოს შეცდომა (ბათილი გარიგება, სკ-ის 48-ე მუხლი (1964 წლის 26 დეკემბრის რედაქცია):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-1089 17.12.10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/19 17.09.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ კანონი, რასაც საფუძვლად დაუდო შემდეგი ფაქტობრივი გარემოება: მოპასუხემ ხელწერილის საფუძველზე სადავო ბინა მიჰყიდა მოსარჩელეს და მიიღო მისი ღირებულების შესაბამისი თანხა, თუმცა, პრივატიზაციის უქონლობის გამო, სადავო ბინა ვერ გადაუფორმა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ხსენებული კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 იანვრამდე წარმოშობილ არა ნებისმიერ ფორმადაუცველ გარიგებასთან დაკავშირებულ ურთიერთობას, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც მოითხოვდა სპეციალურ მოწესრიგებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებაზე და განმარტავს, რომ დადებულია ფორმადაუცველი გარიგება, რაც მხარეებმა იმ დროს მოქმედი წესების დაცვით არ აღრიცხეს, რაც არ იყო დაკავშირებული ზემოაღნიშნულ ობიექტურ შეზღუდვებთან. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ურთიერთობა 1964 წლის 26 დეკემბრის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 48-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, ბათილ გარიგებად უნდა შეფასდეს. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-174-164-2011 23.06.11).

სასამართლოს შეცდომა (ნების გამოვლენის განმარტება, სკ-ის 52-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1226-10 03.02.11) ქუთაისის რაიონული სასამართლოს (№2/573-10 04.11.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას განმარტა, ვინაიდან მხარემ კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებით მიმართა სანოტარო ორგანოს დედის სასარგებლოდ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნულ ნების გამოვლენას იურიდიული ძალა არ გააჩნია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მართალია, პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ განცხადება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად ვერ ჩაითვლება, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მითითებულ დოკუმენტს სამართლებრივი მნიშვნელობა არ გააჩნია. სკ-ის 52-ე მუხლის მიხედვით, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. სანოტარო აქტიდან ნათლად ირკვევა, რომ მხარეს სურდა სამკვიდროდან თავისი კუთვნილი წილი გადასულიყო დედის საკუთრებაში, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული სანოტარო აქტი ჩუქების ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნებს, კერძოდ: ა) სანოტარო აქტი შეიცავს პირის ნებას ქონების სხვა პირის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასვლასთან დაკავშირებით; ბ) ქონების გამსხვილებელი

არის ამ ქონების მესაკუთრე; გ) მხარე ნების ნაკლის არსებობას ვერ ადასტურებს; დ) უძრავ ქონებაზე დადებული ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული წერილობითი ფორმა დაცულია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. (გადაწყვეტილება №ას-377-357-2011 28.06.11).

სასამართლოს შეცდომა (ხელშეკრულების გარეშე გადაცემულის უკან დაბრუნება, სკ-ის 976-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/885 06.10.10) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№2-233-10 16.06.10) შემოსული საჩივარი, ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მომსახურების ანაზღაურების თაობაზე არ დააკმაყოფილა. პალატის განმარტებით, სადავო ხელშეკრულების გარდა, მხარეთა შორის სხვა ხელშეკრულებებიც იყო გაფორმებული, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებში არ მითითებულა, თუ კონკრეტულად რომელი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა ვალდებულება. გარდა ამისა, სადავო მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით არ ყოფილა გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოპასუხის მხრიდან, როგორც წერილობით, ისე ზეპირად (მოპასუხის შესაგებელში, ასევე სასამართლო სხდომაზე) აღიარებულია ფაქტი, რომ მან მოსარჩელისაგან მიიღო ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სატელეფონო მომსახურება. მართალია, შემდგომ, სააპელაციო საჩივარში მოპასუხემ უარყო მითითებული ფაქტი, მაგრამ მას არ მიუთითებია აღიარების გამაქარწყლებელ იმ გარემოებებზე, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 133-ე მუხლით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ მიიღებს მოპასუხის მიერ აღიარების უარყოფას. ხელშეკრულების გარეშე გადაცემულის უკან დაბრუნების შესაძლებლობას ითვალისწინებს სკ-ის 976-ე მუხლი. ამავე კოდექსის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო, მაშინ მიმღებმა უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელია გადაცემული საგნის (გაწეული სატელეფონო მომსახურების) უკან დაბრუნება, მოპასუხე ვალდებულია, გადაიხადოს მიღებული საქონლის ღირებულება (გადაწყვეტილება №ას-1237-1087-2010 27.06.11);

სასამართლოს შეცდომა (მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2608-10 11.10.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№2/424-10 23.04.10) შემოსული საჩივარი, უკანონო ხელშეშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში დააკმაყოფილა, თუმცა ზიანის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ფაქტი არ დაუდგენია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მხარე ვალდებულია, თვითონვე დაამტკიცოს მის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა კი, პირდაპირ და არსებით გავლენას ახდენს დავაზე და განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსს. მოცემულ დავაში მოსარჩელე სარწმუნოდ ვერ ადასტურებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობას, რაც თავისთავად გამორიცხავს ზიანის დაკისრების სამართლებრივ შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და საჩივარი უკანონო ხელშეშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში არ დააკმაყოფილა (გადაწყვეტილება №ას-73-63-2011 14.06.11);

სასამართლოს შეცდომა (მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განმარტება, სსკ-ის 350-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1337-10 10.03.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№2/383-10 22.02.10) შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად შეაფასა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით შეიძინა თუ არა უფლება მესამე პირმა; პალატის აზრით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მესამე პირს უფლება უნდა შეეძინა გარკვეული პირობის შესრულების სანაცვლოდ. რადგან ხსენებული პირობა არ შესრულებულა, მესამე პირისათვის უფლება ვერ ჩაითვლება წარმოშობილად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 350-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისას, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არ არსებობს სპეციალური დათქმა, სასამართლოს შეფასების საგანია მესამე პირისათვის როგორც უფლების წარმოშობის, ისე მისი შეცვლის ან გაუქმების დადგენა, თუმცა, ასეთი დათქმა არ გამომდინარეობს არც ხელშეკრულების მიზნიდან და არც მისი შინაარსიდან. სანაცვლო ვალდებულების შეუსრულებლობა გავლენას ვერ მოახდენს მესამე პირის უფლებაზე იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულების მხარეებს უარი არ უთქვამთ ხელშეკრულებაზე. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-796-850-2011 29.07.11).

სასამართლოს შეცდომა (პროცენტი სესხისათვის, სკ-ის 625-ე მუხლი; ძვ. რედ.):

დავა ეხება სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის შეუსაბამობას ხელშეკრულების დადების დროისათვის მოქმედ სკ-ის 625-ე მუხლის დანაწესთან. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2195-10 04.11.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/100087-09 28.04.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მიუხედავად იმისა, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტი სამჯერ აღემატებოდა იმ დროისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი პროცენტის ზღვრულ ოდენობას, აღნიშნულ ნაწილში სესხის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველად არ მიიჩნია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: დადგენილია, რომ სადავო სესხის ხელშეკრულების დადებისას მოქმედი სკ-ის 625-ე მუხლი, შეიცავდა დათქმას, რომ ხელშეკრულების მხარეების მიერ დადგენილი პროცენტი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ გონივრულ ზღვრულ ოდენობას. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. პალატის განმარტებით, მხარეთა შეთანხმება სესხზე ყოველთვიური პროცენტის განსაზღვრის ნაწილში ბათილია, ვინაიდან სესხის ხელშეკრულების დადებისას მხარეების მიერ დადგენილი პროცენტი შეუსაბამოა ეროვნული ბანკის მიერ იმ დროისათვის დადგენილ გონივრულ ზღვრულ ოდენობასთან (გადაწყვეტილება №ას-264-248-2011 18.07.11).

სასამართლოს შეცდომა (ფულად ვალზე პროცენტის გადახდა, სკ-ის 981-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2731-10 06.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/9664-09 21.06.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა სკ-ის 981-ე მუხლი. კერძოდ, პალატის აზრით, უსაფუძვლოდ გამდიდრების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებისათვის სკ-ის 981-ე მუხლის

მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დაეკისრება, თუ ქონების მიღებისას იცოდა ან, უხეში გაუფრთხილებლობის გამო, უცნობი იყო ქონების სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყო. რადგან მოპასუხე ვარაუდობდა, რომ მისთვის თანხა გადაცემული იყო ნამდვილი უფლების საფუძველზე, შესაბამისად, იგი ვერ გაითვალისწინებდა, რომ, ვალდებულების გარეშე თანხის განკარგვის გამო, მოსარჩელეს მიაღებოდა ზიანი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა, დასაბუთდა, რომ სკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულება იმპერატიულია, რაც დაკავშირებულია ამ ნივთის (ფულის) თავისებურებებთან. ამ ქონების (ფულის) უნიკალური თვისებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ფულად საშუალებებს ყოველთვის შეუძლია, მოუტანონ სარგებელი მის მესაკუთრეს. ამდენად, ისეთი ქონების მიღების დროს, როგორცაა ფული, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიხედვით, მისმა მიმღებმა სსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ (ფულმა) მას რაიმე სარგებელი არ მოუტანა, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის ანუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ ქონებიდან სარგებლის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიიღო მისი არასათანადო გაძღოლის შედეგად. საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნა, უსაფუძვლოდ გამდიდრებით მიღებულის დაბრუნების თაობაზე დააკმაყოფილა (**გადაწყვეტილება №ას-188-177-2011 11.07.11**).

სასამართლოს შეცდომა („სასაქონლო ნიშნების“ შესახებ კანონის 34-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლო (№28/2799-09 25.01.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№2/10503-06 01.12.09) შემოსული საჩივრის განხილვისას სასაქონლო ნიშნების მსგავსებასთან დაკავშირებით, სოციოლოგიური კვლევის შედეგებს დაეყრდნო და მიიჩნია, რომ მოსარჩელისა და მოპასუხის ეტიკეტები მათ მიერ წარმოებული იგივე სახეობის პროდუქციის აღრევის შესაძლებლობას იწვევს. ასევე პალატამ განმარტა, რომ მოპასუხეს უნდა აეკრძალოს პროდუქტის წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდების ეტიკეტზე მითითება, რადგან აღნიშნული გეოგრაფიული სახელი მოსარჩელის მიერ კოლექტიური სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გზით დაცული დასახელებაა და მოპასუხის მიერ მისი გამოყენება თავისი წარმოებული პროდუქციის დასახელების შემადგენელ ნაწილად, რომელიც არ არის დარეგისტრირებული კანონის მოთხოვნათა დაცვით, არამართლზომიერია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საქმეში არსებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს, რომელთაც სააპელაციო პალატა დაეყრდნო დავის გადაჭრისას, სასამართლოსათვის მხოლოდ დამატებითი არგუმენტის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ არა იმგვარი, რომლებზეც დაყრდნობით იურიდიული ფაქტის დადგენა იქნება შესაძლებელი. მოპასუხის ეტიკეტზე ჩანს სხვაობა ნაწარმის სახელწოდებასა და მის გეოგრაფიულ წარმომავლობას შორის. პროდუქტის სახელი მიუთითებს და აზუსტებს წარმოშობის ადგილს და მიზნად ისახავს არა პროდუქტების გაიგივებას, არამედ მომხმარებლისათვის მისი წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას პოპულარიზაციის მიზნით. „სასაქონლო ნიშნების“ შესახებ კანონის მიხედვით, გეოგრაფიული სახელის

კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაცია არ ანიჭებს მის მფლობელს უფლებას, აუკრძალოს მესამე პირს ამ სახელწოდების გამოყენება სამოქალაქო ბრუნვაში, თუ ამით არ ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმები. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი (**გადაწყვეტილება №ას-471-445-2011 26.09.11**).

სასამართლოს შეცდომა (ხანდაზმულობის ვადის ათვლა, სკ-ის 130-ე მუხლი):

სარჩელი ეხება საზიარო საგნის აღდგენასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობას. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (**№2ბ/1222 04.03.11**) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს (**№2/273-10 28.10.10**) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა გამომდინარეობს საზიარო სახელშეკრულებო უფლებიდან, შესაბამისად, ამ ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. პალატის განმარტებით, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება კი, წარმოშობილად ითვლება იმ დღიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოდავე მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ დგინდება. მათი უფლება-მოვალეობანი ერთმანეთის მიმართ გამომდინარეობს მხოლოდ კანონისმიერი საფუძვლიდან, რაც გამორიცხავს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის მიმართ სკ-ის 129-ე მუხლის გამოყენებას. რაც შეეხება მოთხოვნის წარმოშობის მომენტს, ჩნდება კითხვა, როდის წარმოიშვა კასატორს მოთხოვნა, სახლის აღდგენითი სამუშაოების დაწყებისას თუ დასრულებისას. პალატის მტკიცებით, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად სახლის აღდგენითი სამუშაოების დასრულების დრო უნდა მივიჩნიოთ, რადგან მშენებლობის ხარჯებზე დაზუსტებულ მოთხოვნას მანამდე ვერ წარადგენდა. ზემოაღნიშნული გარემოებების გამოკვლევის მიზნით, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ას-649-610-2011 04.10.11**).

სასამართლოს შეცდომა (აუცილებელი გზა, სკ-ის 180-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (**№2ბ/25 16.03.11**) საჩხერის რაიონული სასამართლოს (**№2/204-10 26.11.10**) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა სკ-ის 180-ე მუხლი. იმ ფაქტობრივი გარემოებებიდან, რომელიც დადგენილად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ, არ გამომდინარეობს ხსენებული ნორმით განსაზღვრული შედეგი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: განსახილველი ნორმით წესრიგდება სამეზობლო თემის ვალდებულება, რაც წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს. ამ ნორმით გათვალისწინებული ბოჭვის ამ ხარისხით გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფაქტორებით, რომლის არსებობის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარეშე. სამოქალაქო სკ-ის 180-ე მუხლით აუცილებელი გზის მხოლოდ აუცილებელ, უალტერნატივო შემთხვევებში დადგენა განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციით და ამავე კოდექსით აღიარებული საკუთრების უფლების თავისუფლებით, ამასთან, ამ უფლების შეზღუდვა

დაშვებულია მხოლოდ აუცილებელი ბოჭვის ფარგლებში (იხ. სასამართლო პრაქტიკა: უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 24 მაისის №ას-102-100-2011 განჩინება). ზემოაღნიშნული გარემოებების გამოკვლევის მიზნით საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-744-801-2011 13.10.11);

– სკ-ის 180-ე მუხლის მოთხოვნა დარღვეულია ასევე საქმეებზე: №ას-102-100-2011 24.05.11; №ას-975-1009-2011 08.12.11.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/3278-10 14.04.11; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/793-10. 15.11.10;

ხოლო გადაწყვეტილებები მიიღეს შემდეგი პირველი ინსტანციის სასამართლოებმა: ოზურგეთის რაიონული სასამართლო (№2/138 30.06.10); თბილისის საქალაქო სასამართლო (№2/4607-2006 10.05.10).

სასამართლოს შეცდომა (სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 153-ე მუხლი, ასევე არ გამოიყენა სკ-ის 419-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2191-10 07.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/8546-09 08.04.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ პირგასამტეხლო აქცესორული უფლებაა, ვინაიდან ძირითადი მოთხოვნის, მოცემულ შემთხვევაში ნასყიდობის თანხის დაბრუნების დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, არც პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: თუ პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესრულების ვადის დარღვევისათვის, კრედიტორს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია, მოითხოვოს მისი დაკისრება, მიუხედავად იღებს თუ არა ვადაგადაცილებულ შესრულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში დააკმაყოფილა (გადაწყვეტილება №ას-1326-1346-2011 17.10.11).

სასამართლოს შეცდომა (რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა, სკ-ის 314-ე მუხლის ძვ. რედ.):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/3353-10 25.11.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/1051-07 22.04.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკუთრების უფლების საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც, სადავო ფართს ფლობს ორი მესაკუთრე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: კერძოსამართლებრივი ურთიერთობები არ გამორიცხავს გარკვეულ ხარვეზებს ამ ურთიერთობებში, ამიტომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და ამ ბრუნვაში ჩართულ პირთა ინტერესების დაცვის მიზნით, მატერიალური კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ რეგულაციებს და ცნებებს, როგორიცაა: საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, სამართალურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერება და ა.შ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2007 წლის 23 მაისამდე მოქმედი სკ-ის 314-ე მუხლით განსაზღვრული იყო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, რეესტრში რეგისტრირებულ

უფლებათა რიგითობა განისაზღვრებოდა რეგისტრაციის დროის თანამიმდევრობის მიხედვით. რეგისტრაციის თარიღად მიიჩნეოდა რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანის დღე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2007 წლის 11 მაისს განხორციელებული ცვლილებით 314-ე მუხლი ამოღებულ იქნა, თუმცა მსგავსი შინაარსის ნორმა იმავდროულად აისახა ჯერ „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 14.4 მუხლში, ხოლო შემდგომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 13.4 მუხლში (მოქმედი რედაქცია). სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობის კუთხით. სწორედ ამ საფუძველით სსკ-ის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ას-308-292-2011 10.10.2011**).

სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლები):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2376-10 30.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/911-10 23.04.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება გააუქმა ნასყიდობის ფასის გადაუხდელობის საფუძველით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, სადაც ერთ-ერთი მოსარჩელე ითხოვდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და ქონების დაბრუნებას, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განმარტა, რომ ნასყიდობის გარიგების დადებისას ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა, მყიდველის მხრიდან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძველია და არა გარიგების ბათილობის (იხ. საქმე №ას-881-1504-03.23.03.2004). ამდენად, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, მიიღო ახალი გადაწყვეტილება (**გადაწყვეტილება №ას-341-325-2011 12.10.11**).

სასამართლოს შეცდომა (ბათილი გარიგება, სკ-ის 54-ე და 59-ე მუხლები):

საქმის მასალების თანახმად, ქონება იჯარით გაიცა აუქციონის გზით. მხარეთა შორის დაიდო სათანადო ხელშეკრულება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2642-10 30.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/3480-08 13.01.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა სკ-ის 54-ე, 59-ე მუხლები და დააკმაყოფილა სარჩელი იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, იმ საფუძველით, რომ სადავო გარიგებები დადებულია აუცილებელი ნებართვის გარეშე და გარიგების დადებისას დაშვებულია ქონების სხვა პირზე გადაცემის გარკვეული პროცედურული დარღვევები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება ნამდვილი იყოს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესებს, საჯარო წესრიგს და ა.შ. სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული ის გარემოება, რომ მოსარჩელემ გარიგების დადებამდე დაუშვა თუნდაც ნორმატიული აქტით გათვალისწინებული გარკვეული პროცედურული დარღვევები ქონების სხვა პირზე გადაცემისას, არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ბათილობის უპირობო საფუძველი. ნებართვის გამცემ ორგანოს აღნიშნული ხელშეკრულება სადავოდ არ გაუხდია, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ უკანასკნელის უფლება ან კანონიერი ინტერესი დარღვეული არ არის. შესაბამისად, შეუძლებელია მისი უფლების დარღვევაზე საუბარი. რაც შეეხება მოსარჩელეს, ბუნებრივია,

მან იცოდა ან აუცილებლად უნდა სცოდნოდა ნებართვის არსებობა-არარსებობის ფაქტი. ასეთ პირობებში მის მიერ მოპასუხესთან იჯარის ხელშეკრულების დადება დასტურია მის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობისა. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-474-448-2011 06.10.11).

სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 379-ე მუხლი):

სადავოა ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/547-10 15.10.10) თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს (№2/47-09 07.12.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღებული თანხა მოხმარდა მამკვიდრებლის მკურნალობის, კომუნალური გადასახადებისა და დაკრძალვის ხარჯებს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ზემოაღნიშნული მოქმედებების განხორციელებით გადაიხადა ნასყიდობის საფასური.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება უკავშირდება ქონების გადაცემას და არა მომსახურების გაწევას. სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამოიღველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მოქმედებები (მკურნალობის, კომუნალური გადასახადებისა და დაკრძალვის ხარჯების გაწევა) არ შეიძლება, მიუთითებდეს ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვალდებულების შესრულებაზე. სკ-ის 379-ე მუხლის თანახმად, კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა შესრულება დიდი ღირებულების მქონეა. განსახილველი ნორმა იმპერატიულ ხასიათს ატარებს მოვალესათვის, ხოლო კრედიტორისათვის – დისპოზიციურს. ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს მხარეებს შორის შეთანხმება სხვა შესრულების მიღებაზე. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა გასახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-788-842-2011 03.11.11).

სასამართლოს შეცდომა (იპოთეკის გავრცელება ქონების შემადგენელ ნაწილზე):

იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას საცხოვრებელი ბინის მთლიანი ფართის მხოლოდ ნაწილი იყო აღრიცხული საჯარო რეესტრში. მოგვიანებით დანარჩენი ნაწილიც საკუთრების უფლებით აღრიცხა მოპასუხის სახელზე. ბინა არის ერთიანი და მოქცეულია ერთ ჭერქვეშ. სადავოა, ვრცელდება თუ არა იპოთეკა ბინის მოგვიანებით აღრიცხულ ფართზე. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/4715-10 05.05.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/7958-2010 30.09.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას სადავო ფართი სამომავლო ქონებად მიიჩნია და სკ-ის 286-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ იპოთეკით არ შეიძლება დაიტვირთოს სამომავლო ქონება. იპოთეკის მიზნებისთვის კი, ნებისმიერი ქონება სამომავლოა, რომელიც საჯარო რეესტრში ასახული არ არის. სასამართლოს აზრით, კანონმდებელი იპოთეკის იურიდიულ ძალას რეგისტრაციის მომენტს უკავშირებს. ამდენად, თუ ქონება რეგისტრაციაუნარიანი არ არის, აღნიშნული ნიშნავს, რომ

იგი იპოთეკის თაობაზე დადებული გარიგების საგანი ვერ გახდება, ხოლო იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობა, რომლის მიხედვით იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნაწილზეც და სამომავლო მიშენება დაშენებაზეც, ეწინააღმდეგება იპოთეკის ლეგალურ დეფინიციას. პალატის განმარტებით, იპოთეკით დასატვირთად ნივთი აუცილებელია მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და შეუძლებელია იპოთეკის გამოყენება სამომავლო ქონებასთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: იპოთეკის ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, არ შეიცავენ აკრძალვას მომავალი ქონების უზრუნველყოფის სახით გამოყენების თაობაზე. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, სადავო ბინა წარმოადგენს არა მომავალ ქონებას, არამედ უძრავი ნივთის ნაწილს, რომელიც მატერიალურად არსებობს გარიგების დადების დროს დაუკანონებელი სახით, რომელიც დავის პერიოდისათვის აღრიცხულია იპოთეკით დატვირთული ქონების შემადგენელ ნაწილად, შესაბამისად, მასზე ვრცელდება ამ ნივთზე არსებული იპოთეკა. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მხარეებს უფლება აქვთ, ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ მათთვის სასურველი დებულებები, მხოლოდ იგი უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას. პალატა მიიჩნევს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების არც ერთი პუნქტი არ შეიძლება მივიჩნიოთ კანონსაწინააღმდეგოდ ან გავაბათილოთ იგი. ასეთ პირობებში შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დებულებათა უგულებელყოფა. განსახილველი დავის სწორად გადასაწყვეტად ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის შეფასებას, თუ რა იგულისხმებოდა უძრავ ქონებაში იპოთეკით დატვირთვის დროს. დადგენილი გარემოებებიდან, იმის შესახებ, რომ სადავო ფართი რეალურად არსებობდა და რაც ცნობილი იყო ასევე იპოთეკარისთვისაც, ირკვევა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ერთ ერთი პუნქტიდან, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „იპოთეკით დაიტვირთა მესაკუთრის კუთვნილი მთელი უძრავი ქონება“. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-1081-1110-2011 10.11.11).

სასამართლოს შეცდომა (ხელშეკრულების არსებითი პირობები, სკ-ის 327-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1151-10 23.12.10) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს (№2/340 31.08.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, კასატორისათვის საქონლის მიწოდება დადგენილად მიიჩნია სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე (რომელიც არ არის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ), მაშინ, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ გათვალისწინებული პირობით, საქონელი ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა იქნეს გაზიარებული წერილობითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს ნების ავტონომიის პირობებში შეუძლიათ, დადონ ხელშეკრულება. ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითია ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზეც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად

მიჩნეულია კანონის მიერ. სადავო ხელშეკრულების ერთ ერთი პუნქტის თანახმად, მხარეები იყვნენ შეთანხმებული, რომ საქონელი ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევის მიზნით (**განჩინება №ას-283-267-2011 21.11.11**).

სასამართლოს შეცდომა (პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ, სსკ-ის 420-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/-1288 08.04.11) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2-983-2010 26.11.10) გადაწყვეტილება გააუქმა პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის ნაწილში.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ხელშეკრულების დადებისას მხარეებს უფლება აქვთ, შეთანხმდნენ გარკვეული თანხის – პირგასამტეხლოს გადახდაზე იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. მითითებული თანხის ოდენობის განსაზღვრას კანონმდებელი მხარეთა შეთანხმებას მიანდობს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს დაკისრებით კრედიტორმა არათანაზომიერად დიდი სარგებელი მიიღოს. ამდენად, პირგასამტეხლოს რაოდენობა შეუზღუდავი არ არის. სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი დავის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, შეამცირეს ბანკის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო, თუმცა მოცემული ტიპის სასესხო ვალდებულების გათვალისწინებით პირგასამტეხლო მაინც შეუსაბამოდ მაღალი გამოდგა. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება (**გადაწყვეტილება №ას-921-960-2011 25.11.11**).

სასამართლოს შეცდომა (ვალდებულების შესრულების მიღება, სკ-ის 429-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/4069-10 13.04.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/2217-10 20.10.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ფაქტი არასწორად მიიჩნია და დასტურებულად წინასწარი გამოძიების შესახებ დადგენილების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილით, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მოთიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. მითითებული ნორმით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადგენად ამავე ნორმით გათვალისწინებულია შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც უდავოდ გულისხმობს წერილობითი სახის მტკიცებულებას. ფულადი ვალდებულების თავისებურებიდან გამომდინარე, მისი შესრულება უნდა დასტურდებოდეს ისეთი სახის მტკიცებულებებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს თანხის გადახდის ფაქტზე, მაგალითად, ხელწერილით, თანხის გადარიცხვის დოკუმენტით და სხვა. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება (**გადაწყვეტილება №ას-988-1021-2011 15.11.11**).

სასამართლოს შეცდომა (ვალის არსებობის აღიარება, სკ-ის 341-ე მუხლი. სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა, სკ-ის 624-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შეფასებით (№28/4544-2010 24.03.11), თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/4945-10 04.08.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მოდავე მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა დასრულდა ვალდებულების აღიარების შესახებ ხელწერილით. პალატამ ხელწერილი შეაფასა სკ-ის 341-ე მუხლით, როგორც ვალის აღიარება. მიუხედავად იმისა, რომ გამომდინარეობს მხარეთა შორის მანამდე არსებული სესხის ხელშეკრულებიდან, სამართლებრივად სრულიად დამოუკიდებელია და ეს ორი ხელშეკრულება, სკ-ის 341-ე მუხლის შესაბამისად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოშობენ სამართლებრივ შედეგს. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო სასესიო ურთიერთობას ყოველგვარი ფაქტობრივი დასაბუთების გარეშე ადგენს და ასეთ დასკვნას მხოლოდ მოსარჩელის განმარტებას აყრდნობს, რაც ეწინააღმდეგება კანონს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეული მოქმედებების შესრულებას და, ამდენად, საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსს ეთანხმებიან ან ადასტურებენ მას, ან არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარება მხოლოდ მაშინაა, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შედგენილი ხელწერილი სკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად არ შეიძლება შეფასდეს, რადგან, როგორც მხარეთა განმარტებებით, ასევე, ხელწერილის შედგენის დამსწრე მოწმეთა ჩვენებებით უტყუარადაა დადგენილი, რომ ხელწერილით განისაზღვრა მხარეთა შორის უკვე არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე და სამომავლოდ შესასრულებელი ვალდებულების ფარგლები. სკ-ის 624-ე მუხლის თანახმად კი, სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება, დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. მითითებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის დასადგენად კანონმდებელი მოსარჩელის მტკიცების ტვირთს გარკვეულწილად აძლიერებს. სასესიო ურთიერთობაში თანხის სესხად გადაცემის ფაქტის მტკიცების ტვირთი თანხის გამცემის – მოსარჩელის მხარეზეა, რომელმაც, გარდა თავისი განმარტებისა, სხვა მტკიცებულებით დამაჯერებლად უნდა დაადასტუროს სესხის ხელშეკრულების დადება. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-839-890-2011 08.11.11).

სასამართლოს შეცდომა: (კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა, სკ-ის 160-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/2337-10 05.05.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/232-10 03.05.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად განმარტა სკ-ის 160-ე მუხლი. მისი აზრით, ხსენებულ მუხლში კონკრეტულად არ არის მითითებული, რომ საუბარია უძრავ ნივთზე მფლობელობის ჩამორთმევის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში სიტყვა „ნივთი“ ვიწროდ განიმარტება და მასში მხოლოდ მოძრავი ნივთები უნდა ვიგულისხმოთ.

პალატამ აღნიშნა, რომ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის გაგრძელების შემთხვევაში გამოყენებას ექვემდებარება არა სკ-ის 160-ე მუხლში მითითებული ვადა, არამედ ამავე კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც 10-წლიან ხანდაზმულობის საერთო ვადას ადგენს, თუმცა, მისი აზრით, რადგან ხელყოფილია კეთილსინდისიერი მფლობელობის უფლება, რომელიც დღესაც გრძელდება, ასეთ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა არც დაწყებულია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 160-ე მუხლით, თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. სკ-ის 148-ე მუხლის ანალიზით სიტყვა ნივთში მოიაზრება როგორც მოძრავი, ისე – უძრავი ნივთი. მფლობელობის საგანი შეიძლება, იყოს ნებისმიერი ნივთი, რომელზეც სამართლის სუბიექტის ბატონობაა შესაძლებელი. მფლობელობის უფლება უძრავ და მოძრავ ნივთზე თანაბრად არის დაცული და კანონი განსხვავებული განმარტების საფუძველს არ იძლევა. როდესაც კანონი ნივთის სახეობის მიხედვით განასხვავებს ნივთის შეძენის, უფლების დაკარგვის, საკუთრების უფლების პრეზუმფციისა, თუ სხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებულ წესებს, მათ მარეგულირებელ სპეციალურ ნორმებში პირდაპირ არის მითითებული ნივთის სახეობაზე. რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადას, საგულისხმოა, რომ სადავოს წარმოადგენს უძრავი ნივთი, რომელზეც 160-ე მუხლის გამოუყენებლობის შემთხვევაშიც კი, საერთო ხანდაზმულობის (10 წელი) ვადის გამოყენება დაუშვებელია, რადგან სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით კანონი უძრავ ნივთებზე სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას ადგენს. მცდარია სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა არ დაწყებულია. კანონით როგორც ყველა უფლების, ასევე მფლობელობის უფლების დაცვაც გარკვეულ ხანდაზმულობას ექვემდებარება და კანონის იმპერატიული დანაწესის გამო საწინააღმდეგოს განმარტების ვარაუდიც არ არსებობს. მოცემულ დავაზე გადაწყვეტილების მისაღებად, სკ-ის 131-ე მუხლის შესაბამისად, აუცილებელია მოთხოვნის წარმოშობის მომენტის დადგენა. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-1085-1114-2011 13.12.11).

სასამართლოს შეცდომა (ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს მიღება):

ნარდობის ხელშეკრულების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების ფორმაზე, შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა მომხდარიყო პერიოდულად, მომსახურების შესრულების მიხედვით ამ მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ, რის შესახებაც უნდა გაფორმებულიყო მიღება-ჩაბარების აქტები. მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულების ვადის გასვლის მიზეზით, თუმცა საქმეში წარმოდგენილი ინსპექტირების ჯგუფის წერილებით უტყუარად დასტურდება სამუშაოს შესრულება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№23/1157-10 28.12.10) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს (№3-496 30.12.08წ) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, გადაწყვიტა, რომ მოპასუხის მიერ სამუშაოები სრულად არ შესრულებულა, რადგან არ არსებობს ინსპექტირების აქტი, ანუ კანონშესაბამისი მტკიცებულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლომ ისე უარყო ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელის წერილები, რომ არ შეუმოწმებია მათი დასაშვებობა მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაში, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა შეაფასა, როგორც ნარდობის ხელშეკრულების არსებობა, თუმცა, საგულისხმოა, რომ ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების (სკ-ის 629-ე-656-ე მუხლები) არც ერთი დანაწესით კანონმდებელი იმპერატიულად არ აწესებს ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის შესაძლებლობას მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის გზით. მართალია, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების ფორმაზე, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტის შეუდგენლობა, იმ შემთხვევაში, თუ სხვა მტკიცებულებით უტყუარად დადასტურდება ვალდებულების შესრულების ფაქტი, არ შეიძლება, გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ას-323-307-2011 01.12.11**).

სასამართლოს შეცდომა (ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის, სკ-ის 411-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2714-10 18.11.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/1596-09 06.05.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად განმარტა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი ნორმები, კერძოდ, სკ-ის 394-ე და 411-ე მუხლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლოს სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ დაუდგენია ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი, ზიანის არსებობის ფაქტი, რაც მაკვალიფიცირებელი ნიშანია სკ-ის 411-ე მუხლის გამოყენებისათვის. როგორც მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 8 ივნისის განჩინებიდან ირკვევა, საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა არა მხოლოდ ის, ნარდობის ხელშეკრულება ჯეროვნად შესრულდა თუ არა, არამედ ისიც, არსებობდა თუ არა სკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებული მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს არც ერთი მსჯელობა არ შეიცავს მითითებას იმ მტკიცებულებებზე, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ ზიანის ოდენობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლომ მიიღო ახალი გადაწყვეტილება (**გადაწყვეტილება №ას-307-291-2011 24.10.11**).

სასამართლოს შეცდომა (ვალდებულების შესრულების მიღება, სკ-ის 429-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-01 06.05.11) ფოთის საქალაქო სასამართლოს (№2/266 08.11.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებისა და 2007 წლის 8 ოქტომბრის განცხადების საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულების ფაქტი. აღსანიშნავია, რომ განცხადებაში აღნიშნულია მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებაზე და ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების თაობაზე, თუმცა არ შეიცავს დასაბუთებულ დასკვნას, რომ განცხადებაში მითითებული ვალდებულების შესრულება ვალდებულების მთელ მოცულობას გულისხმობს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილით, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მოტივით ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. მითითებული ნორმით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადასტურებლად ამავე ნორმით გათვალისწინებულია შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც უდავოდ გულისხმობს წერილობითი სახის მტკიცებულებას. ფულადი ვალდებულების თავისებურებიდან გამომდინარე, მისი შესრულება უნდა დასტურდებოდეს ისეთი სახის მტკიცებულებებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს თანხის გადახდის ფაქტზე. საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას მოპასუხისა და მოწმეების ახლო ნათესაურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. ამ გარემოებას კასატორი სადავოდ მიიჩნევდა სააპელაციო საჩივარშიც, თუმცა გასაჩივრებული განჩინებით აღნიშნული მტკიცებულებების დამაჯერებლობა და იურიდიული ძალა სათანადოდ დასაბუთებული არ არის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები დამატებით გამოკვლევას საჭიროებს, რაც, სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია (**განჩინება №ას-1090-1119-2011 22.11.11**).

სასამართლოს შეცდომა (არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მშობლების განქორწინებისას, სკ-ის 1201-ე მუხლი):

დავა ეხება ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების შეუთანხმებლობისას არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას. მოცემულ შემთხვევაში ძეგლებს ჰყავთ ორი მცირეწლოვანი ბავშვი. ერთი მათგანი ცხოვრობს დედასთან, მეორე – მამასთან. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/4-23-10 29.03.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/1468-10 05.10.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას სპეციალისტის დასკვნის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ არასრულწლოვანთა უპირატესი ინტერესებიდან გამომდინარე და-ძმა ცალ-ცალკე არ უნდა იზრდებოდეს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 1197-ე მუხლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამავე კოდექსის 1201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების შეუთანხმებლობისას არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელ ადგილს განსაზღვრავს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. კანონი არ ადგენს რაიმე პრეზუმფციას დედის ან მამის სასარგებლოდ. სასამართლო დავის გადაწყვეტისას, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, არკვევს, თუ რომელ მშობელს შეუძლია უკეთ უზრუნველყოს ბავშვის აღზრდა, რაც მარტო საბინაო-საყოფაცხოვრებო და მატერიალურ პირობებზე არ არის დამოკიდებული. ამდენად, დავის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრიორიტეტი უნდა განისაზღვროს არა მშობლების, არამედ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისად, აუცილებელია სპეციალისტების (ფსიქოლოგების) პროცესში მონაწილეობა და მათი დასკვნების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ას-904-944-2011 18.10.11**).

სასამართლოს შეცდომა (არასრულწლოვანი შვილის დაბრუნების მოთხოვნის უფლება):

დავა ეხება არასრულწლოვანი შვილების მშობლისათვის დაბრუნებას. მშობელი იყო ნარკოტიკული საშუალებების აქტიური მომხმარებელი. მკურნალობის კურსის გავლის

შემდგომ მისი ჯანმრთელობა გახდა დამაკმაყოფილებელი. იგი კლინიკიდან გაიწერა დიაგნოზით: ადრეული რემისია, რომელიც შეიძლება მთელი ცხოვრება გაგრძელდეს და ნარკოტიკის მონმარების საშიშროება მუდმივად არსებობდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2286-10 24.02.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/26-10 18.05.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, დიაგნოზზე დაყრდნობით სარისკოდ და მიზანშეუწონლად მიიჩნია ბავშვების მშობლისათვის დაბრუნება, სანამ არ გავა გარკვეული პერიოდი და მის გამოჯანმრთელებას ოფიციალურად არ დაადასტურებენ სპეციალისტები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ნარკომანიისგან გამოჯანმრთელების დროის განსაზღვრა და მისი რეციდივის გამორიცხვა შეუძლებელია, თუმცა ის ფაქტი, რომ მოსარჩელე მკურნალობს და მის მკურნალობას დადებითი შედეგი აქვს არ იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ მოსარჩელესთან ბავშვების ცხოვრება სარისკო და მიზანშეუწონელია. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლით გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში. მისივე მითითებით, სასამართლო, რომელსაც საოჯახო ურთიერთობათა სპეციფიკიდან გამომდინარე განესაზღვრა ინკვიზიციური უფლება ფაქტობრივი გარემოების დადგენისა და გამოკვლევისა, ვალდებულია, მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები, კერძოდ, აქტიურად ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არასრულწლოვანთა უფლებების დაცვაში და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომლითაც დამაჯერებლად და სარწმუნოდ დადგინდება, რომ არასრულწლოვანებისა და მშობლის დაშორება აუცილებლობითაა გამოწვეული ან დაშორების აუცილებლობა არ არსებობს (**განჩინება №ას-669-630-2011 11.10.11**).

სასამართლოს შეცდომა (ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ; სკ-ის 1214-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1012-10 07.12.10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/907-10 14.09.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ალიმენტგაღებულ უმუშევარია, ალიმენტის მინიმალური ოდენობა დააკისრა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 1214-ე მუხლის თანახმად, სასამართლო, ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავს გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. სასამართლო მხედველობაში იღებს, როგორც მშობლების, ისე – შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. მოცემულ საქმეზე დადგინდა, რომ მხარეებს, ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი, ერთ-ერთი მათგანი ბავშვობიდან არის ინვალიდი. მძიმე ავადმყოფობის გამო იგი საჭიროებს მუდმივ მოვლასა და მკურნალობას, რაც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან. პალატის განმარტებით, ალიმენტგაღებულის უმუშევრობა, თუ ეს არაა გამოწვეული ავადმყოფობით ან სხვა საპატიო მიზეზით, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ უარი თქვას არასრულწლოვანის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე და არ დაავალდებულოს მშობელი გადაიხადოს ალიმენტი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება (**გადაწყვეტილება №ას-58-49-2011 27.06.11**).

სასამართლოს შეცდომა (შრომითი ხელშეკრულების მოშლა, შრომის კოდექსის 37.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/2662-09 24.06.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/163-08 21.02.08) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, დაასკვნა, რომ ადმინისტრაციამ შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა შეწყვიტა შრომის ხელშეკრულების მოშლის გზით, რასაც პირდაპირ ითვალისწინებს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი და საამისოდ დამატებითი წინაპირობის არსებობა კანონით გათვალისწინებული არ არის. პალატის მოსაზრებით, ადმინისტრაცია არ იყო ვალდებული, მიეთითებინა განთავისუფლების საფუძველი. მისივე მსჯელობით, მხარეთა ინიციატივის გარდა დამატებითი საფუძველების არსებობა სავალდებულოა მხოლოდ არასრულწლოვანთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას არ იზიარებს საკასაციო პალატა და მიიჩნევს, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მხარეებისათვის მინიჭებული უფლება, შეწყვიტონ მათ შორის არსებული შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების მოშლის გზით, არ არის შეუზღუდავი, რამეთუ არ არსებობს აბსოლუტური, შეუზღუდავი სამოქალაქო უფლება, იგი ყოველთვის შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით (სკ-ის 115-ე მუხლი). ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. მოცემულ შემთხვევაში, უნდა დადგინდეს, დარღვეულია თუ არა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, დისკრიმინაცია ხომ არ განხორციელდა და ა.შ. შრომის კოდექსით, კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით რეგულირებული ადამიანის უფლებისა და თავისუფლების დარღვევის შეფასება კი შეუძლებელია, თუ სასამართლოსათვის უცნობია ხელშეკრულების მოშლის მიზეზი და არ ვიცით ან არ დადგინდა დავის წარმოშობის მიზეზი. სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, შეემოწმებინა აპელანტის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი (**განჩინება №ას-1206-1057-10 24.02.11**).

სასამართლოს შეცდომა (შრომითი ხელშეკრულების მოშლა, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/2959-10 26.11.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/2934-10 02.07.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მიიჩნია, რომ დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლას არ უდევს საფუძველად დასაქმებულის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა და არც მის მიმართ რაიმე სახის დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის თაობაზე და აღნიშნა, რომ შრომის უფლება არ შეიძლება განიმარტოს, როგორც დამქირავებლის ცალმხრივი უფლება, ყოველგვარი საფუძველის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: დამსაქმებლის ინიციატივით პირის სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში უფლების განხორციელების მართლზომიერების შეფასებისას აუცილებლად უნდა შემოწმდეს, აღნიშნულს საფუძველად ხომ არ დაედო შრომის კოდექსის მე-2 მუხლით დისკრიმინაციულად მიჩნეული რომელიმე საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ ასეთი ფაქტი არ დასტურდება. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი მეწარმეობისა და

კონკურენციის განვითარებისათვის ხელშემწყობი მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს მეწარმის უფლებას, თავისი სურვილის მიხედვით შეარჩიოს კონტრაქტენტი, აირჩიოს საწარმოს ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმა, საქმიანობის საგანი, თავისი შეხედულებით დაიქირაოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამეწარმეო სუბიექტს გააჩნია საკუთარი მიზნები და იგი მოგებაზეა ორიენტირებული, აქედან გამომდინარე, საკუთარი მიზნის მისაღწევად საწარმოს შეუძლია საკუთრებითი წესრიგის მართლზომიერი მართვა, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს იმ მუშა-მოსამსახურეთა არჩევის უფლება, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაკუთრისაგან დაქირავებული ქონებით საწარმოს მიზნების რეალიზაციას. სსკ-ის 411-ე მუხლზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა (გადაწყვეტილება №ას-343-327-2011 01.12.11).

სასამართლოს შეცდომა (შრომის ხელშეკრულების მოშლა, შრომის კოდექსის 38-ე მუხლი): თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/4345-10 31.01.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/8324-10 11.11.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას განმარტა, რომ შრომის ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში საკმარისია მხარის, ამ შემთხვევაში დამსაქმებლის ნების გამოვლენა. ამასთან, კანონმდებელი არ ზღუდავს მხარეთა ინიციატივას რაიმე დამატებითი პირობების დაწესებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: დამსაქმებლის ნება, პირთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, საკმარისია ხელშეკრულების მოშლისათვის, მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ დამსაქმებლის ეს უფლება შეუზღუდავია. ამგვარი ნების გამოვლენით არ უნდა ირღვეოდეს პირის ძირითადი უფლებები და სამართლის ზოგადი პრინციპები. ნებისმიერი სამოქალაქო უფლება შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით. პირის სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში აუცილებლად უნდა შემოწმდეს, აღნიშნულს საფუძვლად ხომ არ დაედო შრომის კოდექსის მე-2 მუხლით დისკრიმინაციულად მიჩნეული რომელიმე საფუძველი. მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში დამსაქმებელს ეკისრება, კერძოდ, თუ დასაქმებული უთითებს, რომ მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დისკრიმინაციული ქმედება იყო, სწორედ დამსაქმებელმა უნდა ამტკიცოს საკუთარი ნების გამოვლენის მართლზომიერება და განთავისუფლების არადისკრიმინაციული საფუძვლის არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირის სამსახურიდან განთავისუფლება უკანონოდ უნდა ჩაითვალოს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე სწორედ დისკრიმინაციის ფაქტზე მიუთითებდა და ასახელებდა კონკრეტულ გარემოებებს, რომლებიც, მისი აზრით, სამსახურიდან განთავისუფლების დისკრიმინაციულობაზე მეტყველებს. მოპასუხეს აღნიშნულის საპირისპირო რაიმე მტკიცება სასამართლოსთვის არ წარუდგენია. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში, მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების მართლზომიერების ფაქტის გამოსარკვევად (განჩინება №ას-519-493-2011 24.06.11).

სასამართლოს შეცდომა („მეწარმეთა შესახებ კანონის“ 50-ე მუხლი; ძვ. რედ):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1236-10 28.10.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/7410-09 15.02.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, იურიდიული ძალის მქონედ მიიჩნია საზოგადოების ღირექტორის ბრძანება, რომლის

საფუძველზეც განხორციელდა საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებების დელეგირება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სამეწარმეო კანონით განსაზღვრულია, თუ რა მოთხოვნათა დაცვაა აუცილებელი შპს-ს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭებისა და მისი ნამდვილობისათვის. შპს-ს ხელმძღვანელობენ და წარმომადგენენ მესამე პირებთან ურთიერთობაში დირექტორები, რომელთა შერჩევა ხდება პარტნიორთა კრებაზე და მათ შესახებ მონაცემები აისახება სამეწარმეო რეესტრში. მსგავსად დირექტორებისა, საზოგადოებას წარმომადგენენ (და არა ხელმძღვანელობენ) მესამე პირებთან ურთიერთობაში გენერალური სავაჭრო მინდობილობის მქონე პირები – პროკურისტები. ამასთან, პროკურა იურიდიული ძალის მქონე აქტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას იღებს პირი, რომელიც უნდა გახდეს პროკურისტი. მისი ნამდვილობისათვის აუცილებელია ამ პირთა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია. კანონი ასევე ითვალისწინებს სავაჭრო წარმომადგენელს, მაგრამ მას ეძლევა უფლებამოსილება მხოლოდ კონკრეტული გარიგებების დასადებად და მისი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება მინდობილობით. სადავო შემთხვევაში მოქალაქეს მინიჭებული აქვს არა კონკრეტული მოქმედების, არამედ ზოგადად საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება. შეუძლებელია ზემოთ მითითებულ მოთხოვნათა დაცვის გარეშე ასეთი უფლებამოსილების მინიჭება. შესაბამისად, სადავო აქტის იურიდიული ძალის მქონედ არ მიიჩნევა (განჩინება №ას-1375-1212-2010 23.06.11);

– ანალოგიური საქმეა: №ას-310-294-2011 26.09.11.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №28/1527-10 07.10.10. ხოლო, გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/936-10 25.03.10).

სასამართლოს შეცდომა („მეწარმეთა შესახებ კანონის“ 50-ე მუხლი (ძვ. რედ.):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1529-10 11.10.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/2640-09 28.10.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ჰქონდა დივიდენდის მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება საზოგადოების მოგების განაწილების შესახებ არ მოიპოვებოდა. სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა წილის დათმობის ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: დივიდენდის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა საზოგადოების მოგების განაწილების შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში ასეთი კრების ჩატარების ფაქტზე ვერც მოსარჩელე უთითებს და არც მოპასუხე ადასტურებს მის არსებობას. წილის დათმობის ხელშეკრულების პირობა კი, რომლის თანახმადაც წილის დათმობით, მის მიმღებზე გადავიდა წილის პროპორციული მატერიალური და არამატერიალური პასივები და აქტივები, საკასაციო პალატამ შემდეგნაირად შეაფასა: წილის პროპორციული აქტივი მოიცავს, არა ზოგადად დივიდენდის მიღების, არამედ დივიდენდის მოთხოვნის უფლებასაც, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში გააჩნდა წილის დამთმობს. ამდენად, მოსარჩელემ წილთან ერთად დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობით დაკარგა მოპასუხისგან მისი მოთხოვნის უფლებაც. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა (გადაწყვეტილება №ას-1328-1170-2010 06.06.11).

3. დასკვნა

შესწავლილი მასალის განზოგადების შედეგად დადგინდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომების შემდეგი ტენდენციები:

- დარღვეულია ასკ-ის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე, სკ-ის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები;
- დარღვეულია სსკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნა, სახელმწიფო ბაჟი არასწორად არის გადანაწილებული მხარეთა შორის;
- არასწორად გამოიყენა სსკ-ის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილი;
- არასწორად მიიჩნია ჩაბარებულად სასამართლო უწყება;
- სააპელაციო პალატამ შეუფასებლად დატოვა ის ფაქტი, რომ საქმეში ჩაბმულები იყვნენ არასათანადო მოპასუხეები (სსკ-ის 85-ე მუხლი);
- სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფით არასწორად იქნა გადანაწილებული მტკიცების ტვირთი;
- სსკ-ის 104-ე მუხლის გათვალისწინებით მიიღო მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, როგორც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე, თუმცა შემდგომ არ შეუფასებია;
- საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება არ არის შეფასებული სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით;
- არასწორად განმარტა სსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი;
- არასწორად გამოიყენა სსკ-ის 131-ე მუხლი;
- სასამართლომ სსკ-ის 135-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, ასლებს მტკიცებულების ძალა მიანიჭა, მიუხედავად იმისა, რომ დედნების წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოებები მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა;
- სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, არ გამოიკვლია წერილობითი მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო საქმის წარმოების განახლებას;
- სასამართლომ ექსპერტის დასკვნა არ შეაფასა სსკ-ის 172-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით;
- აღიარებითი სარჩელის განხილვისას არ არის გამოკვლეული სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესის არსებობა;
- არასწორად გამოთვალა სახელმწიფო ბაჟი სარჩელების გაერთიანების შემთხვევაში;
- საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა არ შეაფასა სსკ-ის 215-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, როდესაც იგი მხარის წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ მტკიცებულებად მიიჩნია;
- არასწორად მიიჩნია, რომ არსებობდა სსკ-ის 233-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი გარემოება;
- სამოტივაციო ნაწილი არ არის იურიდიულად დასაბუთებული სსკ-ის 249-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით;
- ექსპერტის დასკვნა არ არის შეფასებული სსკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად;

- არ გამოიყენა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 64-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები, ასევე, არასწორად განმარტა იმავე კანონის 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი;
- არასწორად განსაზღვრა მემკვიდრეთა წილი მამკვიდრებლის ქონებიდან (სკ-ის 1452-ე მუხლი);
- არასწორად მიიჩნია შემძენი არაკეთილსინდისიერად;
- სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი ვადის გაშვება საპატიოდ მიიჩნია, ასევე, არასწორად განმარტა სკ-ის 1328-ე მუხლი;
- არასწორად განსაზღვრა მემკვიდრეთა წილი მამკვიდრებლის ქონებიდან, რითაც დაარღვია სკ-ის 1452-ე მუხლი;
- არასწორად შეაფასა სამკვიდროს მისაღებად სკ-ის 1426-ე მუხლით დადგენილი, ვადის გაშვების საპატიოობის კრიტერიუმები;
- ჩუქების ხელშეკრულება არასწორად მიიჩნია მოჩვენებით გარიგებად;
- მართალია, მართებულად გამოიყენა სსკ-ის 987-ე მუხლი, მაგრამ არ დაადგინა ამ ნორმის სწორად შეფარდებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები;
- სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად არასწორად გამოიყენა სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- არასწორად გამოიყენა სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი და, ასევე, არასწორად მიიჩნია, რომ ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება, განდეს კეთილსინდისიერების პრინციპი;
- არასწორად გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ კანონი;
- მხარის მიერ გამოვლენილი ნება არ განმარტა სსკ-ის 52-ე მუხლის მიხედვით;
- საჩივარი უკანონო ხელშეშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში დააკმაყოფილა, თუმცა ზიანის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ფაქტი არ დაუდგენია;
- სკ-ის 350-ე მუხლის მიხედვით, არასწორად შეაფასა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით შეიძინა თუ არა უფლება მესამე პირმა;
- არ გამოიყენა სკ-ის 625-ე მუხლი (ძვრედ), მიუხედავად იმისა, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტი სამჯერ აღემატებოდა იმ დროისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი პროცენტის ზღვრულ ოდენობას, აღნიშნულ ნაწილში სესხის ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლად არ მიიჩნია;
- არასწორად განმარტა სკ-ის 981-ე მუხლი;
- სასაქონლო ნიშნების მსგავსებასთან დაკავშირებით საჩივრის განხილვისას, სოციოლოგიური კვლევის შედეგებს დაეყრდნო და მიიჩნია, რომ მოსარჩელისა და მოპასუხის ეტიკეტები იწვევს მათ მიერ წარმოებული იმავე სახეობის პროდუქციის აღრევის შესაძლებლობას;
- არასწორად განმარტა სკ-ის 130-ე მუხლი;
- მოპასუხის საკუთრებაში არსებულ მონაკვეთზე ისე დაადგინა აუცილებელი გზის ვალდებულება, რომ სარწმუნოდ არ დაუდგენია სკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა;
- არასწორად განმარტა სკ-ის 153-ე მუხლი, ასევე არ გამოიყენა სკ-ის 419-ე მუხლი;

- არ გამოიყენა სკ-ის 314-ე მუხლი და არ იმსჯელა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკუთრების უფლების საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც, სადავო ფართს ჰყავს ორი მესაკუთრე;
- მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება არასწორად გააუქმა ნასყიდობის ფასის გადაუნდებლობის საფუძველით (სკ-ის 352-ე, 405-ე მუხლები);
- არასწორად გამოიყენა სკ-ის 54-ე, 59-ე მუხლები;
- არასწორად განმარტა სკ-ის 379-ე მუხლი;
- სადავო ფართი არასწორად მიიჩნია სამომავლო ქონებად და ასევე არასწორად გამოიყენა სკ-ის 286-ე მუხლი;
- მოპასუხის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ფაქტი არასწორად მიიჩნია დადასტურებულად წინასწარი გამოძიების შესახებ დადგენილების საფუძველზე;
- მხარეთა მიერ შედგენილი ხელწერილი არასწორად შეაფასა სკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად;
- არასწორად განმარტა სკ-ის 160-ე მუხლი. მისი აზრით, ხსენებულ მუხლში კონკრეტულად არ არის მითითებული, რომ საუბარია უძრავ ნივთზე მფლობელობის ჩამორთმევის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში სიტყვა „ნივთი“ ვიწროდ უნდა იქნეს განმარტებული და მასში მხოლოდ მოძრავი ნივთები უნდა ვიგულისხმოთ;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხის მიერ სამუშაოები სრულად არ შესრულებულა, რადგან არ არსებობს ინსპექტირების აქტი, ანუ კანონშესაბამისი მტკიცებულება, თუმცა ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით (სკ-ის 629-ე-656-ე მუხლები) კანონმდებელი იმპერატიულად არ აწესებს ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის შესაძლებლობას მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის გზით;
- არასწორად განმარტა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი ნორმები, კერძოდ, სკ-ის 394-ე და 411-ე მუხლები;
- სპეციალისტის დასკვნის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება მშობლების განქორწინებისას არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე (სკ-ის 1201-ე მუხლი);
- არასწორად განმარტა სკ-ის 1214-ე მუხლი, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით;
- არასწორად განმარტა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი;
- არასწორად განმარტა შრომის კოდექსის 38-ე მუხლი;
- იურიდიული ძალის მქონედ მიიჩნია საზოგადოების დირექტორის ბრძანება, რომლის საფუძველზეც განხორციელდა საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებების დელეგირება;
- არასწორად განმარტა მეწარმეთა შესახებ კანონის 50-ე მუხლი (ძვ. რედ.) და მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ჰქონდა დივიდენდის მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება საზოგადოების მოგების განაწილების შესახებ არ მოიპოვებოდა.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა
და განზოგადების განყოფილება**